№ 2661

პარასკევი,

5 ნოემბერი

Ც[illegible]ის ფურცელი

№ 2661

პარასკევი,

5 ნოემბერი

გაზეთის ფასი: წლიწადში —6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible] განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა

1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. **ტელეფონი № 373.**

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წლიწადი **„ცნობის ფურცელი"** 8 წელი

სურათებიანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: **ერთის წლით 6 მანეთი.**

საზღვარ გარედ: **ერთის წლით 9 მანეთი.**

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

წლიწადი **„მოამბე"** მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან.

საზღვარ გარედ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი"

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (ხამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ

უაზზეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ღრმად შეწუხებულნი: პეტრე იაგორის ძე ხანჯალამე, ეკატერინე იაგორის ასული, სტეფანე და ივანე საველის ძე მანველოვები და სოფიო საველის ასული და გიორგი იოსების ძე შაგგულიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალების ძვირფას და დაუვიწყარ

მარიამ საველის ასულის ხანჯალაძისას,

პირველის მეუღლისა, მეორის ასულისა, მესამეთა დისა და მეოთხის ცოლის დისას. ცხედარს ხანჯალაძის სადგომიდან (მიხაილოვის პროსპექტი, ეჯუბოვის სახლი, № 148.в) კვირას, 7 ნოემბერს, დილის 10 საათზე ვანქის ტაძარში გაასვენებენ და იქიდან ხოჯივანქის სასაფლაოზე. პანაშვიდი შაბათს, საღამოს 6½ საათზე.

(1—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

პარასკევს, 5 ნოემბერს 1904 წელს მე-2 გიმნაზიის მე-8 კლასის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება **„პიკოვაია დამა"** ოპერა 3 მოქ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ვიკშემსკაია, დონსკაია-ვიხენკალდ, მიხაილოვა, ხარიტონოვა; ბ-ნნი: სიკაჩინსკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ვიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

6 ნოემბ. „ევგენი ონეგინი".

გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ფ. ოულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

დ. ი. კამოვი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი. ძმიონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მმ. ქალი ნ. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვ. ა. ზეიორი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მს. მ. ხოხოლავსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. —3 საათამდე.

საღამოთი:

ნ. მ. ხოჯოლიძე.—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევის და დარიგების 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში [illegible] მორიგებით. კრავატები დღეში დღის [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б. [illegible])

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ივანე ა. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზის (№ 82) და ხიდის (№ 21) ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი

მლ. რომანიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათ.

(თვ.—5.—26)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა.

(30—15)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

გრიბოედოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი

ა. ნ. თოთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ.

(37—366—2)

ექიმი

ი. ე. ვამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ.

(30—365—2)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 ნოემბერი.

მუკდენი. 2 ნოემბერი (საკუთარ კორესპ.). პოზიციებზე კიდევ სიჩუმეა. ხმა დადის, იაპონელები 6 ნოემბერს იერიშის მოტანასა და რუსების ცენტრის გარღვევას აპირობენო.

ნიუ-იორკი. („რეიტერი") ნიუ-იორკში გამართულმა ხელის მოწერამ იაპონიის სესხი უზრუნველ-ჰყო.

ლონდონი, („რეიტერი"). გამომძიებელი კომისია გულში სხდომას განაგრძობს. მეთევზეებმა ახალი არარა სთქვეს-რა. კომისია არ იხილავს საზღაურის საქმეს, რადგან ამ საქმეს, ალბად, სხვა კომისია განიხილავს ლონდონში.

ვაშინგტონი, („რეიტერი"). პრინცი ფუშიმი რუზველტს ესტუმრა და მიკადოს მილოცვა გადასცა ხელმეორედ არჩევისა გამო. პრეზიდენტმა უპასუხა, ამერიკის ერი იაპონიას თანაუგრძნობს და იმისი სრული წარმატება ჰსურსო.

ვაშინგტონი, 2 ნოემბერს. რუზველტმა ვიზიტი გადაუხადა პრინც ფუშიმას, რომელიც სასახლეში მიიწვიეს სადილად. სადილს დაესწრნენ: გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრ-უნგრეთისა და იტალიის ელჩები, იაპონიის მისსია და კაბინეტის წევრები.

კოვნო. 3 ნოემბერს წავიდა შორეულ აღმოსავლეთში კოვნოს ციხის შტაბის უფროსი.

ჩიფუ, 3 ნოემბერი („რეიტერი"). სრული საფუძველია ვიფიქროთ, რომ კონტრ-ნაღმიანი გემი „რასტოროპნი" მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაიტანს იარაღს. „რასტოროპნი"-ს იმედი აქვს, რომ ღამე გაეპარება იაპონელებს. ამ გემმა „ნოვი კრაი"-ს რამდენიმე ნომერი ჩამოიტანა; ერთ ნომერში დაბეჭდილია, რომ „რეტვიზან"-მა დაღუპა იაპონელთა ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი, რომელიც ნაღმებს აწყობდა ზღვაში.

მოსკოვი. ექიმი ჩიჟი იუწყება მოსკოვის სასანიტარო რაზმის ამბავს. ამ რაზმს გაუვლია კორეის მთიან ადგილებში 650 ვერსი. 4 ადგილას რაზმმა, ჯარის უფროსთა განკარგულებით, საავადმყოფოები გამართა და დახმარება გაუწია 339 ავადმყოფსა და დაჭრილს. მეტად გასაჭირი იყო სურსათის შოვნა ამ მტრულად განწყობილ ქვეყანაში.—მოვიდა ლიაოიანის ბრძოლაში დაჭრილი 138 სალდათი და ორი აფიცერი. ბევრი მეომარი დაჯილდოვეს წმ. გიორგის ჯვრით.

ჩიფუ, 3 ნოემბერი („რეიტერი"). კონტრ-ნაღმიანი გემის „რასტოროპნი"-ს კაპიტანმა აცნობა პრინც ცინს, რომ „რასტოროპნი" გაიტანს იარაღს. ეს გადაწყვიტეს, როცა პეტერბურგიდან შეკითხვაზე პასუხი მიიღეს.

სუეცი, 3 ნოემბერი („რეიტერი"). გუბერნატორმა შეკრიბა უცხოელი კონსულები და სთხოვა, გადაეცით გემთა საზოგადოებების აგენტებს, რომ როცა ბალტიის ესკადრა სუეცის არხში შევა, ჩრდილოეთისკენ მიმავალ ყველა გემს გააჩერებენ, რომ თავისუფალი გზა დაუთმონ ესკადრას. ესკადრის გავლის დროს აკრძალულია არხში რაიმე ნივთების ჩაგდება. აკრძალულია აგრეთვე დემონსტრაციების გამართვა.

მარსელი. შორეულ აღმოსავლეთიდან მოსულმა საფოსტო გემმა „სალაზი"-მ მოიყვანა 9 რუსის მატროსი „ვარიაგი"-დან; ხუთ-მათგანს ამპუტაცია გაუკეთეს. ზოგს ხელი, და ზოგს ფეხი აქვს მოჭრილი. ყველა ესენი კობეს საავადმყოფოში იყვნენ, სადაც თავაზიანად ექცეოდნენ. „სალაზი"-თ მოვიდა აგრეთვე რუსის ლეიტენანტი ტირტოვი, ნაღმიან გემის უფროსად ნამყოფი, რომელმაც ნავებზე დასხა მეზღვაურნი და შემდეგ ააფეთქა თავისი გემი. „სალაზი"-მ გადაიყვანა კობედან სინგაპურს 37 იაპონელი მატროსი და 3 აფიცერი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

3 ნოემბერი

ვილნო, 3 ნოემბერი. ხვალ, საღამოს ცხრა საათზე, ვილნოდან მანჯურიაში მიდის მეორე არმიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი გრიპენბერგი. გენერალის მატარებლითვე მიდიან იმის შტაბის მოხელენი. დღეს სასახლის ეკკლესიაში გადახდილ იქნა პარაკლისი. მატარებლის წასვლამდე სადგურზე მოხდება დეპუტაციის მიღება.

ლონდონი, 3 ნოემბერი. იაპონიის გაზეთებიდან სჩანს, რომ იაპონიაში საზოგადოება აღელვა და შეაწუხა ლონდონსა და ნიუ-იორკში აღებულ ახალ სესხის მეტად ძნელმა პირობებმა. გაზეთების სიტყვით, ეს პირობები ამცირებენ იაპონიის ღირსებას. იაპონიამ არა მარტო უნდა უზრუნველ ჰყოს სესხის სარგებელი თავის საბაჟოების შემოსავლით, არამედ იაპონიის მთავრობამ ყოველ თვეს მთელი წლის სარგებლის 1½ ნაწილი უნდა შეიტანოს განსაკუთრებით აღნიშნულ ბანკებში. ეს ბანკები—სესხის ქაღალდების პატრონთა ინტერესების დამცველნი არიან. კუპონები კი ½ წლის ვადიანია. ამგვარად მხოლოდ მესამე ხარისხის სახელმწიფოთ ექცევიან, რომელთა მიმართ ნდობა შერყეულია. ეს გარემოება შეურაცხჰყოფს იაპონელთა თავმოყვარეობას.

4 ნოემბერი

ჩიფუ, 3 ნოემბერი. ჯავშნიან გემის „რეტვიზანის" ორთქლით მავალმა კატერმა, მიჩმანის დმიტრიევის უფროსობით, 21 ოქტომბერს ააფეთქა იაპონელთა ოთხ-მილიანი ნაღმიანი გემი.—მტრის ყუმბარა მოჰხვდა მსროლელ ქალს, რომელსაც ხარიტონ კოროტკევიჩს ეძახდნენ და რომელიც მეორე ბატალიონის უფროსთან იყო შიკრიკად. ყუმბარამ ლუკმა-ლუკმად აქცია ქალი. ბრძოლის დროს კოროტკევიჩი მოწინავე რაზმებში იყო და მამაცად მოქმედებდა.

ადესა, 3 ნოემბერი. მანჯურიის მესამე არმიის უფროსი კაულბარსი ბრონხიტით ავად გახდა. ექიმებმა აუკრძალეს სახლიდან გასვლა.

ბერლინი, 3 ნოემბერი. „ტეხნიშე რუნდშაუ" სწერს, აქაურ დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, ვითომ ოქტომბრის დამლევს იაპონია შეეკითხებოდეს გერმანიას, დახმარებას ხომ არ გაუწევს იგი რუსეთსა და იაპონიის შეთანხმებას ომის გათავების საქმეში.

ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკოე სლოვო."-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: 22 სექტემბერს აქეთ, როცა რუსის არმიამ სამხრეთისაკენ გაილაშქრა, რუსებს წინ არსად წაუწევიათ. პირ-იქით, ზოგიერთ ადგილას უკანაც დაიწიეს, მაგრამ რაც ეხლა პოზიციები უჭირავთ, კარგად გაამაგრეს. მცოდნე ხალხი ამბობს, იაპონელებმაც ძლიერ ხელოვნურად გაამაგრეს თავიანთი პოზიციებიო. ზოგან იაპონელებმა ისე მარჯვედ დამალეს თავიანთი სანგრები, რომ ახლოდანაც ვერ შეამჩნევს კაცი... იაპონელები და რუსები ზოგან სულ 800 ნაბიჯზე დგანან ერთმანეთიდან. ერთის სოფლის ნახევარი მარშანის პოლკს უჭირავს, მეორე ნახევარი იაპონელებს. იაპონელები რუსულად დაიყვირებენ ხოლმე: „მარშანელებო, დაიკარგენით აქედან, აქ ჩვენ უნდა ვიცხოვროთო!" რუსები უპასუხებენ: „თქვენ თითონ დაიკარგენითო!" რამწამს მოპირდაპირეს თვალს მოჰკრავენ, მაშინვე თოფს ესვრიან, მაგრამ ჭიდან წყლის ამოღებას-კი არ უშლიან ერთმანეთს.

„ნოვოე ვრემია-"ს კორესპონდენტი როსტოვცევი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: დილიდან საღამომდე ჭარავნებს ცხენების საჭმელი და სალდათებისათვის თბილი ტანისამოსი მოაქვთ; ყველაზე მეტი ჩინური ლურჯი ხალათები მოაქვთ. ამბობენ, მთელ რუსის არმიას ამ ხალათებს ჩააცმევენო.

დეილი მეილი იუწყება: ერთს იტალიელ აფიცერს ცნობა მოუვიდა, ადმირალმა ტოგომ ეხლავე დანიშნა გემები ბალტიის ესკადრის დასახვედრად. დიდ გემებს პატარა გემები გაჰყვებიან; როცა რუსის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში ჩავა, ეს პატარა გემები ყველგან გზაში ნაღმებს ჩააწყობენო. („რ. ლ.").

პორტ არტური. მთელი ქვეყნიერობა პორტ-არტურისაკენ იყურება, მაგრამ იქიდან ისეთი არეული ცნობა მოდის, რომ კაცს ვერა გაუგია-რა, მით უმეტეს რომ პორტ-არტურის სწორე კარტაც არაა გამოცემული. ერთი და იგივე ფორტი ან გორა სხვა-და-სხვა კარტაში სულ სხვა-და-სხვა ადგილასაა ნაჩვენები. მაგალითად, ერლუნგშანის ფორტი ზოგ კარტაში რკინის გზის აღმოსავლეთ მხარესაა ნაჩვენები, ზოგში დასავლეთ მხარეს; ზოგი ამბობს, შანშუშანი რკინის გზის დასავლეთით მდებარეობს, ზოგი ამბობს აღმოსავლეთითაო და სხვა. საქმეს უფრო ის ურევს, რომ რუსებს ბევრ ფორტისა და გორისათვის რუსული სახელი დაურქმევიათ, იაპონელები-კი ისევ ჩინურ სახელებს ეძახიან; სამხედრო მიმომხილველებმა სწორედ არ იციან, მაგალითად, „პერეპელინაია გორას", „ვისოკაია გორას" და სხვებს ჩინურად რა სახელი ჰქვიან. რაკი არც უტყუარი ცნობა მოდის, არც სწორე კარტაა გამოცემული, სამხედრო მიმომხილველები სულ სხვა-და-სხვა აზრს გამოსთქვამენ პორტ-არტურის მდგომარეობასა და ბედზე. ზოგი ამბობს, პორტ-არტურს დღე დათვლილი აქვსო, ზოგი-კი ღდესაც ამტკიცებს, პორტ-არტური მიუვალი, ძალზე გამაგრებული ციხეა და იმისი აღება შეუძლებელიაო. ზოგი ამბობს, მართალია პორტ-არტური მეტად მაგარი, მიუვალი ციხეა, მაგრამ იაპონელები მაინც თან და თან წინ მიდიან და არც მოეშვებიან სანამ არ აიღებენო.

„ბერლ. ლოკალ. ანცაიგერ"-ის სამხედრო მიმოხილველი სწერს: „იაპონელები ამ ბოლოს დროს უმთავრესად ციხის ჩრდილოეთ ფრონტს ატანენ ძალას. ჩრდილოეთ ფრონტს მდ. ლუნხეს ხეობა ორ ნაწილად ჰყოფს. აღმოსავლეთ მხარეს ჯვრის გორის (კრესტოვაია გარა) ქედი მდებარეობს, დასავლეთ მხარეს ანშანის ქედი. ჩრდილოეთ ფრონტს სულ 9 კილომეტრი (კილომეტრი ცოტა ნაკლებია ვერსტზე) სიგძე აქვს: აღმოსავლეთ ნაწილს—სამი კილომეტრი, დასავლეთისას ოთხი. აღმოსავლეთ ნაწილსა და დასავლეთ ნაწილს შუა ორის ვერსის სიგრძეზე მდ. ლუნხეს ხეობა მდებარეობს. ამ ხეობის შესავალს კუროპატკინის ფორტი იცავდა; ეს ფორტი, როგორც ნამდვილად ვიცით, იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. ჩრდილოეთ ფრონტზე, აღებულ კუროპატკინის ფორტის გარდა, კიდევ 7 ფორტია აშენებული; ორი დასავლეთ მხარეს, სახელდობ ანტშანი (იტშანი) და ეტშეშანი (ანცზეშანი)და 5 ფორტი აღმოსავლეთ მხარესაა: შუიშანი (შანშუშანი),გალუნშანი,კიკვანი და ლიაოტეშანი. უნდა იცოდეთ, რომ პორტ-არტურის დასავლეთ მხარეს მდებარე მთასაც ლიაოტეშანი ჰქვიან. მაგრამ ბოლოს დროს რომ დეპეშებმა ცნობა მოიტანეს, იაპონელებმა ლიაოტეშანზე მიიტანეს იერიშიო, იქ ლაპარაკი ჩრდილოეთ ფრონტის ლიაოტეშანზე იყო და არა ლიაოტეშანის მთაზე, პორტ-არტურის დასავლეთით რომ მდებარეობს. ჩამოთვლილი შვიდი ფორტი სულ მკვიდრი, ძლიერი ფორტებია; ამათ შუა სხვა ფორტებიცაა აშენებული. ამას გარდა ამ ფორტების წინ ომის დროს კიდევ ააშენეს ფორტები. ასე ძლიერაა გამაგრებული ციხის ჩრდილოეთი ფრონტი, მაგრამ მაინც ეს ფრონტი სხვაზე უფრო ადვილი ასაღებია. დასავლეთი ფრონტი თითქმის მიუვალი ადგილია. აღმოსავლეთი ფრონტი ვეშაპის (დრაკონის) ქედზე მდებარეობს. და უფრო ძლიერადაა გამაგრებული და შეიარაღებული. ციხის ზარბაზნები მომეტებულ ნაწილად ამ ფრონტზე აწყვია. აღმოსავლეთი ფრონტი ზღვამდე, ტახეს ბუხტამდე ჩადის. ეს ბუხტა საკმაოდ ღრმაა და დიდ გემებსაც შეუძლიანთ იქ შესვლა. ამიტომ რუსებმაც აქ მოუყარეს თავი არტილერიას, რომ იაპონიის გემებმა ზღვიდან დახმარება ვერ გაუწიონ ხმელეთზე ქვეითა ჯარს ჩრდილოეთი ფრონტი ნაკლებაა შეიარაბული, იქ იმდენი ზარბაზანი არა აქვთ რუსებს; იაპონელებმა იცოდნენ ესა და აკი უმთავრესად იერიში სულ ჩრდილოეთ ფრონტზე მიაქვთ. რომ რუსებს აღმოსავლეთ ფორტებიდან ზარბაზანი ვერ დაეშინათ, იაპონელებს ჩრდილოეთ ფორტების აღმოსავლეთით მდებარე დაგუშანისა და საკუშანის სიმაგრეები უსათუოდ უნდა აეღოთ და აკი იაპონელები ასეც მოიქცნენ. ჯერ დაგუშანი და საკუშანი აიღეს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაჩინეს თავიანთი ნამდვილი პლანი და ჩრდილოეთ ფორტებზე იერიში მიიტანეს. ეგაა რუსებმა ჩრდილოეთ ფორტებს საზოგადო რეზერვიდან მიაშველეს არტილერია და ყუვარგის, დაზიანებულ გემებიდან დიდის ყალიბის ზარბაზნებიც იქ გადაიტანეს; ამიტომაცაა

რომ იაპონელები ასე ხელა მიდიოდნენ წინა, მაგრამ ბოლოს იაპონელებმა თითონაც მიიტანეს იმავ ყალიბის ზარბაზნები და წინაც წაიწიეს. პორტ-არტურზე მეტად არეული ცნობა მოდის, ასე რომ ამჟამად სწორედ არ ვიცით, რა ხდება იქ. ბეჯითად, დარწმუნებით მხოლოდ შემდეგის თქმა შეგვიძლიან.

1. ციხის ჩრდილოეთ ფრონტის ყველა ნაპირა სიმაგრე და მდ. ლუნხეს ხეობაში მდებარე კუროპატკინის ფორტი იაპონელების ხელშია.

2. იაპონელები ჩრდილოეთ ფრონტის უმთავრეს ფორტების შტურმისათვის დაემზადნენ და ტრანშეები და გვირაბები ამ ფორტების კედლებს დაუახლოვეს.

3. კიკვანის (კიკვანშანის) და აღმოსავლეთ ლიაოტეშანის ფორტების აღებას ყოველ წამს უნდა მოველოდეთ.

დასასრულ, მიმომხილველი ჰფიქრობს, თუ იაპონელები ჩრდილოეთი ფორტებს აიღებენ, რუსის მეციხოვნე ჯარი ციხის აღმოსავლეთ ნაწილში გადავა და არა დასავლეთისაში (ლიაოტეშანის მთაზე), როგორც ზოგსა ჰგონიათ („ნ. დ.“).

რუსის სალდათების საუბარი ბრძოლის შემდეგ: „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი სწერს: 27, 28 და 29 სექტემბერს იანტაისთან ძლიერ ბევრი ხალხი დაიჭრა. ერთ სოფელში 1000-ზე მეტი დაჭრილი დააბინავეს. სუმბუქად დაჭრილები ვიწრო ქუჩაში ირეოდნენ და სოფელს ახლო ბოსტნებში დადიოდნენ. მძიმედ დაჭრილები-კი სახლებსა და ეზოებში იწვნენ. სუმბუქად დაჭრილი სალდათები ერთმანეთს ბრძოლის ამბავს უამბობენ.

— რატომ ვერ აიღეთ ის გორა?—ეკითხება ერთი სალდათი მეორეს.

— ადვილი ასაღები არ გეგონოს. ერთ ფრიალო კლდეს მივადექით, კედელსავით იყო ამართული; ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ზედ ვეღარ ავედით; აქეთ ვეცათ, იქით ვეცით, გვინდოდა გვერდიდან მოგვევლო, მაგრამ ვერას გავხდით... წყეული იაპონელები მაღლა იდგნენ და ქვას გვიშენდნენ... საშინლად ბევრი ხალხი დაგვიხოცეს...

— აი ჩვენც სწორედ ეგეთი საქმე დაგვემართა. თითქმის საშკიტედ მიველით, მაგრამ იაპონელები ისე მაგრა დაგვიხვდნენ, რომ ჩვენც ვერას გავხდით...

— რას იზამ, მეტად მაგარი პოზიციები ეჭირათ და...

— სიმართლე უნდა თქვას კაცმა, ყოჩაღები ყოფილან იაპონელები, ძალიან ყოჩაღები. ყოფილან ნამდვილი მეომრები არიან.

— ნამდვილი სალდათები ყოფილან, იქნება რუსის სალდათებს არც-კი დაუვარდნენ.

რუსის არმია მანჯურიაში. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: „რუსის არმიის უფროსებში დიდი ცვლილება მოხდა. ნამესტნიკ ალექსეევის მაგივრად არმიის მთავარ-სარდლად გენ. კუროპატკინი დაინიშნა და მთელი არმია სამ ნაწილად გაიყო: პირველ, მეორე და მესამე არმიად. პირველ არმიის უფროსად გენ. ლინევიჩი დაინიშნა, მეორე არმიისა—გენ. გრიპენბერგი და მესამისა—გენ. კაულბარსი. ასე რომ ეხლა რუსის ჯარი სწორედ ისე მოეწყო, როგორც იაპონიის ჯარი ივნისშივე მოეწყო. საყურადღებოა, რომ ჯარის მთავარ-სარდლადა და არმიების უფროსებად რუსეთმა და იაპონიამ თითქმის ერთნაირი თანამდებობის მქონი გენერლები დანიშნეს. არმიის უფროსებად იაპონელებმა სამხედრო ოლქების გენერალ-ინსპექტორები დანიშნეს, რუსებმა სამხედრო ოლქების უფროსები. გენ. კუროკი და ოკუ სამხედრო ოლქების გენერალ-ინსპექტორებად იყვნენ ომამდე; ორის წლის წინად გენ. ნოძუსაც ასეთივე თანამდებობა ეჭირა. თუმცა მარშალი ოიამა ომამდე მთავარ შტაბის უფროსად იყო და არა სამხედრო მინისტრად, როგორც გენ. კუროპატკინი, მაგრამ იაპონიაში მთავარი შტაბი სამხედრო მინისტრს არ ემორჩილება და სამხედრო საქმეებს დამოუკიდებლად განაგებს, ისე როგორც რუსეთში სამხედრო მინისტრი. ომის დროს ჯარს ის უნდა გაუძღვეს, ვინც მშვიდობიანობის დროს ამზადებდა საომრად და ვინც პასუხი უნდა აგოს ამ მომზადებისათვის, ასე რომ ხსენებულ გენერლების დანიშვნა არმიის უფროსებად სრულიად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს... სარდლების გარდა, ჯარის რიცხვსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დეპეშებიდან სჩანს, რომ რუსეთს კიდევ გაუგზავნია მანჯურიაში მაშველი ჯარი,—სულ 37 ათასი კაცი და 48 ზარბაზანი. როცა ეს ჯარიც ჩავა, რუსეთს ბაიკალის ტბას იქით სულ 570 ათასი კაცი ეყოლება და 1,572 ზარბაზანი ექნება. საით იგზავნება ახალი მაშველი ჯარი, ვლადივოსტოკისა თუ მუკდენისაკენ, ჯერ არ ვიცით, მხოლოდ ის ვიცით, რომ ციხის არტილერია სულ ვლადივოსტოკისაკენ გაუგზავნიათ. „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, რუსეთი მანჯურიაში კიდევ ორ ახალ კორპუსსა და რამდენიმე მსროლელთა ბრიგადას გაჰგზავნისო, ანუ 100 ათას კაცსა და 296 ზარბაზანსაო. ეს ჯარიც რომ ჩავიდეს, რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთში 668 ათასი კაცი ეყოლება და 1,818 ზარბაზანი ექნება. მაგრამ არა მგონია, გენ. კუროპატკინს ეს ჯარიც ეყოს, რადგან იაპონიას სულ მცირედ 560 ათასი კაცის გამოყვანა შეუძლიან. ამიტომ საკვირველი არ იქნება, რომ რუსეთმა მანჯურიაში კიდევ 100, ან 150 ათასი კაცი გაგზავნოს; ჯარის ზარალის შესავსებად კიდევ სხვა სათადარიგო ჯარის კაცები გაიგზავნება. ამდენი ჯარი, რამდენიც 1905 წლის გაზაფხულის პირამდე მანჯურიაში ეყოლება, რუსეთს ჯერ არც ერთის ომის დროს არ გაუყვანია საბრძოლველად. ოსმალეთთან ომის დროს, 1877—1878 წ. წ., რუსეთს ბალკანეთში სულ 400 ათასი კაცი ჰყავდა...

ახალი ამბავი

◆ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ ბ-ნთ ზუბალაშვილების შემოწირულების გამო დაადგინა: 1. უგულითადესი მადლობა გამოეცხადოს საზოგადოების სახელით შემომწირველთ; 2. მოხსენდეს მომავალ საზოგადო კრებას ამ შემოწირულების შესახებ და ეთხოვოს, რომ შემომწირველნი არჩეულ იქნენ საზოგადოების საპატიო წევრებად და 3. განსვენებულ სტეფანე ზუბალაშვილის სურათი, ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, გამოკიდულ იქმნას საზოგადოების დარბაზში. გამგეობამ ამასთან დაადგინა, თანახმათ შემომწირველთა სურვილისა, შემოწირული ფული შენახულ იქნას ხელ-უხლებელ თანხად და მხოლოდ სარგებელი მოხმარდეს ხოლმე „საზოგადოების“ საჭიროებას. თუ ვინიცობაა „საზოგადოებამ“ გააუქმა მოქმედება, ხსენებული 10,000 მან. გადაეცემა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას იმ პირობით, რომ სარგებელი მოახმაროს ქართველ ბავშების აღზრდას და განათლებას განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, თავ. **დიმიტრი ჭავჭავაძემ** დასტოვა 400,000 მანეთი, რომლის გამოც დავა ას რეთა შო ჭავჭავაძემ ეს სამოსწავლო უწყებას დაუტოვა თავ. ჭავჭავაძეთა და სხვათა შვილების აღსაზრდელად. მემკვიდრეებმა განაცხადეს, განსვენებული ანდერძის წერის დროს სრულს ჭკუაზე არ იყოო. ეს დავა ათი წელიწადი იქნება, რაც ერთი ინსტანციიდან მეორეში გადადიოდა. ამ დღეებში ტფილისის სამოსამართლო პალატამ ეს საქმე მოსპო, რადგანაც მოდავენი შერიგებულან. როგორც შევიტყეთ, თავ. ჭავჭავაძეების მემკვიდრეთ მიეღიათ თანხიდან ორასი ათასი მანეთი და სარგებელიც 15,000 მანეთამდე.

◆ დღეს, 5 ნოემბრისთვის, გუბერნატორის თავმჯდომარეობით დანიშნულია ტფილისის **საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს** კრება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს: საჩივარი ტფ. ქალაქის მოურავისა უმართებულეს სენატში საკრებულოზე, რომელმაც არ დაამტკიცა საბჭოს დადგენილება ინჟენერ ალხაზოვისთვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ; საჩივარი სახელოსნო სასწ. დირექტორად ნამყოფის ოგაჯანოვისა, რომელიც ქალაქს ვითომდა დარჩენილ ჯამაგირს ედავება და სხვა.

◆ 2 ნოემბერს ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა **საგუბერნიო სასანიტარო კომისიის** კრება. რადგან საშიშოა ერევნის გუბერნიიდან ბორჩალოს მაზრით ხოლერის შემოტანა, კრებამ დაადგინა, მოიწვიოს ექიმი და ორი ფერშალი. ამათ საერობო დარაჯის დახმარებით თვალყური უნდა ადევნონ ყველა იმათ, ვინც ერევნის გუბერნიიდან ბორჩალოს მაზრაში შევა.

◆ ნახიჩევანის მაზრაში 25 ოქტომბრისთვის **ხოლერით ავათ ყოფილა** 13 კაცი. ახლად ავად გამხდარა 46 კაცი. ამათში 18 რკინის გზის მუშაა. ორდუბათში 28 კაცი გამხდარა ავათ, სამი მომკვდარა. შარურო-დალაგეზის მაზრაში 25 ოქტომბრისთვის 55 კაცი იყო ავად. ხელ ახლად გამხდარა ავად 74 მუშა, მომკვდარა 55. სხვა ადგილებში თითო ოროლა კაცი გახდა ავად. ბაქოში პირველ ნოემბერს ავად გახდა ოთხი, მოკვდა ერთი კაცი.

◆ 3 ნოემბერს მოხდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ **სასანიტარო კომისიის** კრება. კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო ააშენოს ხოლერის ბარაკები სამტრედიისა და გუმბრს. უკვე არის ბარაკები განჯასა, ბაქოსა და ტფილისს. ბარაკების ასაშენებლად საჭიროა ცხრაასი თუმანი ერთხანად და შემდეგში სამასი თუმანი თვიურად.

◆ ამიერ-კავკასიის სასანიტარო კომისიებმა დაამთავრეს **რკინის გზის დასუფთავება**. სისუფთავის დასაცველად შემდეგში საჭიროა თვიურად სამასი თუმანი.

◆ **სად. სანაინი.** 3 ნოემბერს სახალხო მატარებელი გასინჯეს რკინის გზის ექიმებმა. მატარებელში ხოლერიანი აღმოჩნდა. მაშინვე ვაგონი მოხსნეს და ავადმყოფი სასანიტარო ვაგონში დააწვინეს

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, ამიერიდან გუბერნატორებისაგან იქნება დამოკიდებული იმ საქმეების დამტკიცება და ნებართვა, რომელიც **საელექტრონო დაწესებულებებს** შეეხება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, **უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების** თხოვნის თანახმად, დაადგინა 300 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს ხსენებულ საზოგადოებას.

◆ 3 ნოემბერს მოლაპარაკება ჰქონდათ ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისიას და სავაჭრო,-სამეურნეო პოლიციის აგენტებს

მენედ
ლებით აღ
ისინი ნედლომკ

◆ მოგვივიდა 1905 წლის კედლის კალენდარი გრიგოლ ჩარკვიანისა. კალენდარი კარგად არის გამოცემული.

◆ სად. ქურდამირი. საღამოს 5 საათზე ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა ტყვია მოარტყა საფეთქელში და მძიმედ დასჭრა სამსახურის აღსრულების დროს რკინის გზის დარაჯი ვასილ პისტონოვი.

◆ სად. განჯა. 2 ნოემბერს მე-472 ვერსზე ხანჯლით დასჭრა მძიმედ მუშების უფროსი ტიმოფეი ბასოვი ალი-ყული ჰუსეინ-ოღლიმ. ამათ შორის მტრობა ყოფილა.

◆ სად. სკრა. 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ლიანდაგზე ნახეს ფეხ მოჭრილი ივანე ჯეირანიშვილი. დაშავებულს რკინის გზის ექიმმა შემწეობა აღმოუჩინა და ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნა.

◆ სად. გორი. 3 ნოემბერს, დილის 5 საათსა და 10 წუთზე, რკინის გზის ლიანდაგზე მომუშავე გიორგი სადაგაშვილი მიმავალ საქონლის მატარებლიდან (№ 161) გადმოხტა და ვაგონებს ქვეშ ჩავარდა. თვლებმა თავზე და აარცხენა ხელზე გადაუარეს. იქვე სული დალია.

◆ ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისია 4 ოქტომბრიდან შეუდგა ქალაქის შემოსავლის რევიზიას. პირველს სხდომაზე კომისიამ შემოსავლის რამდენიმე მუხლის განხილვა მოასწრო.

◆ 3 ნოემბერს პოლიციის მე-4 ნაწილში ბარონესა ოსტენ-საკენის სახლის მეორე სართულის აივნიდან ეზოში გადავარდა მთვრალი მეეზოვე ანდრია მოსკოვჩენკო და ძლიერ დაშავდა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ 2 ნოემბერს „ლონდონის“ სასტუმროს წინ წაიჩხუბნენ მეეტლენი სოლომონ კარაპეტიანცი და თათეოზ მერაბოვი. ჩხუბის დროს ამ უკანასკნელმა კარაპეტიანცს ამოაცალა ჯიბიდან საათი და გაიქცა.

◆ ბორჩალოს მაზრაში გასულ თვის მეორე ნახევარში შემდეგი ამბები მომხდარა: 1, სოფ. აკურის მცხოვრებმა ხეჩო გევორქოვმა და შაქრო მიქაევმა თავის მეზობელ მოვაჭრე სარქის გევორქოვს დაკეტილ რკინის ყუთიდან 1114 მანათი ამოაცალეს; 2. სოფ. ორჯევან სარვანის მცხოვრები ალი-ოღლი მამედ-ოღლი, როდესაც თავის მეზობლის ბაირამ-ალი-ოღლის ფარებიდან ცხვარს იპარავდა, მოასწრო პატრონმა და თოფით იქვე მოჰკლა ალი-ოღლი-მამედ-ოღლი; 3. სოფ. შინდალიარის მცხოვრები ფაშა-ოღლი, როცა შინ ბრუნდებოდა, გზაზე შეხვდა მუსტაფა-მაშადი-ოღლას, რომელმაც სამ ალაგას სასიკვდილოდ დასჭრა. 4. სოფ. კაპანაქჩის მცხოვრებს ომარ-ხაიჯი-ოღლის ლორიის საბოქაულოში მიმდინარე გზაზე ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ესროლეს თოფი. ჭრილობა ისეთი საშიში აღმოჩნდა, რომ შინ მოსვლისას სული დალია; 5. სოფ. შულაერში კიგალ კარდაშევის სიძე ბალა ხუჩიევი ვიღაც ბოროტ-მოქმედთ მოჰკლეს; 6. სოფ. ჯელალ-ოღლში ნიკოლოზ ჰაირაპეტოვის დუქნიდან ასი თუმნის საქონელი მოიპარეს.

◆ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, თავ. ქობულაშვილების მამულში, რომელიც იჯარით შვეიცარიის ქვეშევრდომს ფრიდრიხ ამმენტორსა აქვს, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ დიდი ცეცხლი წაუკიდებიათ პირნახულისთვის. ზარალი ორასი თუმნამდეა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა 4 ნოემბერს იარაღის ტარების შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის ათი თუმნით დააჯარიმა ახალ-ქალაქის მცხოვრები ავასან ხაჩატუროვი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ რადგან ორჯერ არ მოხდა ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ქალაქის მოურავის გაგზავნის საქმე პეტერბურგს სხვა-და-სხვა შუამდგომლობის განსაახლებლად, ამიტომ ამ დღეებში მოხდება ხმოსანთა კერძო თათბირი ამ საკითხის შესახებ. ხელახლად აღსაძვრელია შემდეგი შუამდგომლობანი: ა) დაწესებულ იქმნას ქალაქის სასარგებლოდ რკინის გზით შემოსატან და გასატან საქონელზედ ეგრედ წოდებული საფუთო გადასახადი. ამ შემოსავლის სპეციალური დანიშნულება იქნება ვოგზალთან

ალ ქუჩების კეთება. აქედან ქალაქი
ყოველ წლიურად 20,000 მანეთს. ამ
თხის შესახებ შუამდგომლობა ძველ ს
ს მიერ იყო აღძრული, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო შეჩერდა; შემდეგ 1902 წელს ახალმა საბჭომ გაანახლა შუამდგომლობა, მაგრამ საკითხი ეხლაც გადაუწყვეტელია, თუმცა ყოველგვარი საჭირო ცნობა ამის შესახებ უკვე წარდგენილია სამინისტროში. ბ) ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას ათი წლის ვადით პოლიციის შესანახავ გადასახადისაგან; გარდა ამისა, განთავისუფლებულ იქნას ქალაქზე დარჩენილ ძველ გადასახადისაგანაც. ეს შუამდგომლობაც 1902 წელს იყო აღძრული. ადგილობრივმა მთავრობამაც კარგი აზრი წარუდგინა სამინისტროს ამ საგნის შესახებ, მაგრამ უმაღლეს მთავრობას საბოლოოდ კიდევ არ განუხილავს. თუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, ქალაქს შეუმცირდება პოლიციის შესანახი ხარჯი 80,000 მანეთი. გ) ქალაქს გადაეცეს საკუთრებად სახაზინო ადგილი, ეგრედ წოდებული „წყალთა შუა“, მდებარე ბალახვანში, რიონის ნაპირად, სივრცით $3\frac{1}{2}$ დესეტინა. ამ ადგილზე ქალაქს სურს გაიყვანოს ქუჩა და გააკეთოს მოედანი ან ბაღი ქალაქის სამხრეთის ნაწილისათვის, რომელიც ქალაქის ცენტრიდან ძლიერ დაშორებულია და არც ბაღი აქვს და არც მოედანი. ეს შუამდგომლობა 1894 წელს იყო აღძრული, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია სამინისტროს. დ) ქალაქს მიეცეს უსარგებლო სესხი ოცის წლის ვადით 50,000 მანეთი, რომლითაც ჰფიქრობს ააშენოს საავადმყოფო 30 საწოლით. ეს საქმე დაწყებულია კიდევ 1898 წელს, მაგრამ ოთხიოდე წელიწადს გუბერნიის საამშენებლო და სამკურნალო გამგეობაში ისინჯებოდა, მხოლოდ ორი წლის წინად განთავისუფლდა ტყვეობიდან და გაგზავნეს სამინისტროში, მაგრამ ჯერ არ დაბოლოვებულა. ე) მეხუთე შუამდგომლობა შეეხება ქალაქის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის 475,000 მანეთის სობლიგაციო სესხის ნებართვას. ეს შუამდგომლობა საბჭოს მიერ შარშან იყო აღძრული. სამინისტრო, როგორც მოწერილობიდანა სჩანს, პრინციპიალურად თანახმაა სობლიგაციო ფურცლების გამოცემისა, მაგრამ ამ ჟამად შეუძლებლად სცნობს ნებართვის მიცემას, რადგან ეხლანდელი პირობები ფურცლების გასანაღდებლად ხელსაყრელი არააო, და ურჩევს ქალაქის საბჭოს წინდაწინვე მოიფიქროს ამ საკითხის შესახებ. ქალაქის საბჭომ განიხილა სამინისტროს წინადადება და უკვე წარუდგინა თავისი განმარტება ამ საკითხის შესახებ. როგორც მკითხველი ჰხედავს, ქალაქს ძლიერ საყურადღებო შუამდგომლობანი აქვს განსაახლებელი. მაგრამ მათ შორის ყველაზედ უფრო საყრადღებო სობლიგაციო სესხის ნებართვაა. ამ შუამდგომლობის შეწყნარებაზე დამოკიდებულია ქალაქის არა ერთი სასარგებლო საქმის განხორციელება. ასეთებია: ქუთაისში საელექტრონო განათების შემოღება, ქუჩების გაკეთება, ლომბარდისა და ქალაქის საზოგადო ბანკის დაარსება, ტელეფონის გამართვა, სასკოლო შენობის აგება, ოლქის სასამართლოსთან რიონის ნაპირის გამაგრება და ახალი ტერიტორიის შექმნა და სხ. ამიტომ საჭიროა, რომ მალე გადაწყდეს ქალაქის მოურავის პეტერბურგს გაგზავნა.

◆ პარასკევს, 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. ეს კრება დანიშნული იყო 27 ნოემბრისთვის, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, არ შესდგა. კრება იმართება გარდაცვალებულის ს. ბ. თოფურიის ხსო-

ფელეტონი

ბრძოლის ველიდან

ომიანობის დროს ადამიანს გრძნობა ეხშობა და ნერვები უხლუნდება. თითქმის ყოველ დღე კითხულობს, ამდენი და ამდენი ათასი მოჰკლეს და ამდენი და ამდენი ათასი დასჭრესო, მაგრამ არ უკვირდება ამას, არა ფიქრობს, რა სიმწარე, რა ტრაგედიაა ამ მოკლულ დაჭრილთა ვითარებაში და გაფაციცებით დაეძებს დეპეშის ან წერილის იმ ადგილებს, სადაც გამარჯვება, დამარცხებასა, და მეომართა წინსვლა-უკანდახევაზეა ლაპარაკი.

მკითხველი ვერც-კი წარმოიდგენს, ხშირად რამდენი ტანჯვა, წვალება და ვაი-ვაგლახი უნდა გამოიაროს ბრძოლის ველზე დაჭრილმა, ვიდრე მშვიდობიან სადგომს ეღირსება და ცოტად თუ ბევრად მოისვენებს. ბევრჯელ მძიმედ დაჭრილსაც-კი ოცი-ორმოცი ვერსი უხდება ფეხით გავლა, ამასთან მშიერსა და ნახევრად შიშველტიტველს. დაჭრილებსა და ავადმყოფებთან ერთად იტანჯებიან ექიმები და სასანიტარო რაზმებიც. ამათ იშვიათად უხდებათ ერთ ადგილას ყოფნა, იშვიათად ისვენებენ. მალ-მალ მოსდით ავადმყოფ-დაჭრილნი და დღე-ღამე ამათ მოვლაში არიან ან ჯართან ერთად ერთ ადგილიდან მეორეში გადადიან. კორესპონდენტები იშვიათად აქცევენ ყურადღებას ომის ამ მხარეს. ათასში ერთხელ რომელიმე კორესპონდენტი გაკვრით თუ მოიხსენიებს დაჭრილთა ვითარებას ან ამა თუ იმ ექიმის თავგამოდებულ შრომას. „რუს. ვედ.“-ში იბეჭდება ერთის ექიმის წერილები ბრძოლის ველიდან. გვსურს ვისარგებლოთ ამ წერილებით და მოკლედ გავაცნოთ მკითხველთ როგორც დაჭრილთა, ისე ექიმთა ყოფა-მდგომარეობა ბრძოლის ველზე.

გენერალი კუროკი ლიაოიანს უახლოვდებოდა,—გადმოგვცემს ხსენებული ექიმი.—უკვე ისმოდა ზარბაზნების გრიალი. ჩვენ (ექიმებსა და იმათ დროებით საავადმყოფოს) გვიბრძანეს, ექვს საათზე გზარგუბელიყავით და სიაოლინძისკენ წავსულიყავით. მოვემზადეთ, მაგრამ გზა მთლად არტილერიასა და ობოზს ეჭირა, ამიტომ მთელი ორი საათი ერთს ადგილას ვიდექით და ველოდით გზის განთავისუფლებას. საღამოს 9 საათზე, როგორც იქნა, დავიძარით. მალე მივადექით ერთ უღელტეხილს. თქვენ მტერს, რაც ჩვენ იქ ტანჯვა გამოვიარეთ. ჩვენ კაცებს ხელით მოუხდათ ორთვლიან ურმების გადატანა.

დავბინავდით სიაოლინძში, მაგრამ არ გასულა ერთი საათი, რომ ახალი ბრძანება მოგვივიდა, აიშალენითო. საძაგელი დილა იყო. ცას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, ისე მოღრუბლულიყო, გზებში გაუვალი ტალახი იდგა. ამ ტალახის გამო ობოზი თორმეტ ვერსზე გაიჭიმა. ამავე ტალახის გამო დღე-ღამეში მხოლოდ ოთხ-ხუთი ვერსი გავიარეთ. გადავედით პატარა უღელტეხილს და მივადექით დიდს. შევჩერდით, რადგან ხუმრობა საქმე არ იყო ამ უღელტეხილზე გადავლა. ძალზე მშიოდა: მთელი დღეს ორ კაპიკიან ბულკას მეტი არა მიჭამია, ამ ბულკშიაც ერთი აბაზი მივეცი. საზოგადოდ, გაჭირო ტყავს გვაძრობდა. ერთ გირვანქა ყველს, მაგალითად, „მარკიტანტი“ ერთ თუმნად ჰყიდდა სიკვდილის წინ სიძვირეზე არავინა ფიქრობდა... მთელ ღამეს ერთი ვერსი ძლივს გავიარეთ. ფერი აღარავის ედო შიმშილისა და დაღლილობისაგან. ამ უბედურებას ზედ სიცივეც დაერთო. ჩვენ ჩინელის ერთ ქოხს შევაფარეთ თავი. იქვე იყო რამდენიმე აფიცერი. ქოხში ხან ერთი სალდათი შემოიჭყიტებოდა, ხან მეორე. ამათ უნდოდათ ქოხის გაწეწვა და შეშად მოხმარება. სალდათებმა ყურადღება არ მიაქციეს არც აფიცრებს და არც მოხუც ჩინელის პროტესტს და ხელად ანდერძი აუგეს ქოხს. იქით აქედან ისე დააძრეს ფიცრები და კოჭები, რომ შიგ დგომა საშიში იყო. გამოველ გარედ, შევკაზმე ცხენი და ზევით გორაზე ავედ. იქ ერთი აფიცერი დამხვდა ეს საწყალი მთელი ერთი კვირა თავის როტას დაეძებდა და მაინც ვერსად ეპოვნა. ომში საოცარი არეულობაა. ერთი ორი საათით რომ ჩამორჩე ამხანაგებს, მერე ერთ ორ კვირასაც ძლივს იპოვნი, განსაკუთრებით თუ ჯარი უკან იხევს

სოფ. კაულაცუნში დავბინავდით. მაგრამ რა გამოვიდა: სამი საათი არც-კი შეგვესვენა, რომ წამოგვახტუნეს და გზას გაგვიყენეს. ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ მივედით სოფელ სიჩანში. ეხლა-კი დავიძინებ მეთქი, ვიფიქრე და წამოვწექი გაუხდელი. მეძინა ზედ გზის პირად, ამასთან ისე მაგრა, რომ ვერ გავიგე, როგორ გაიარა ქვეითა ჯარის ოთხმა და კავალერიის ერთმა პოლკმა. საღამოზე მთის ძირში საავადმყოფო მოვაწყეთ, მაგრამ მალე იაპონელებმა საიდანღაც ყუმბარები დაგვიშინეს და ხელ-ახლა წამოგვადეს ბარგი-ბარხანა. კინაღამ ჩვენი რაზმის ობოზი მტერს ჩაუვარდა ხელში. ბეწვზე-და ეკიდა ეს ობოზი. თუ არ ნეკანის პოლკის სიმამაცე, რაზმი ცარიელ-ტარიელზე დარჩებოდა. ამ ობოზმა მთელი ერთი როტა იმსხვერპლა.

დაჭრილნი სკალით მოჰქონდათ სანიტარებს. წელში გაწყდნენ ეს საწყალნი, მოიქანცნენ, მოიღალნენ და სიარულს ვეღარ ახერხებდნენ. ერთი დაჭრილი აფიცერი ექვს ფუთს იწონიდა. ყოველ თხუთმეტ წუთის შემდეგ ისვენებდნენ საკაცის მზიდავნი. ხშირად ამ შესვენების დროს ორ წუთში ძილი ეკიდებოდათ. გათენებისას ლიაოიანში შევედით. შევედით თუ არა, ასტყდა ზარბაზნების ჯოჯოხეთური გრიალი. ჩინელები ქოხებიდან გამოძვრნენ. ზოგის სახეზე შიში იყო, ზოგისაზე ცნობის მოყვარეობა. არ იცოდნენ რისთვის მომზადებულიყვნენ და რა ეყვირნათ— „ბანზაი“ თუ „ურა“. ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი და ჩვენ დაჭრილებს გზას აღარავინ აძლევდა. ფეხები უკანა გვრჩებოდა. როგორც იყო სემაფორს მივუახლოვდით, აქ უნდა ყოფილიყო საავადმყოფო, მაგრამ, საუბედუროდ, იგი სადგურთან ბაღში გადაეტანათ. წავედით სადგურისკენ. გზაზე ვიღაც გენერალმა გვიბრძანა ხელახლა სემაფორისკენ წაგვეყვანა დაჭრილნი,—იქ არის მატარებელი და ეგენიც იქ ჩასხითო. დავბრუნდით უკან. იქ მეორე გენერალი დაგვხვდა, რომელმაც შორიდან დაგვიძახა: „საით? წადით სადგურზე: საავადმყოფოები იქ არის“. ავუხსენი საქმის ვითარება, ვუთხარ, კაცებს სიარული აღარ შეუძლიანთ მეთქი. შენც არ მომიკვდე: „უდაპარაკებლივ, ამ საათში სადგურზე გასწითო!“ ჩესტი გავუკეთე და ხელახლა სადგურისაკენ გავწიეთ. იქ პირველი გენერალი დაგვხვდა: „საით? ხმა... კრინტი, გასწით აქედან!“ პირი დავაღე... დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ ბოლოს, როგორც იყო, ვეღირსენით დაჭრილთა მატარებელს. დაჭრილნი და ავადმყოფნი ჭსაარად შეჰყარეს საქონლის ვაგონებში, და მატარებელი გაუდგა გზას. ჩემი კაცები ძალზე იყვნენ დამშეულნი. წაველ ჯარის პურის საცხობში იმათთვის პურის გამოსართმევად. ახლა იქ მაცვეს ჯვარს: „რად გინდათ(?) პური? სად გაქვთ დოკუმენტები? რად მოდიხართ უპუროდ?“ მომაყარეს სეტყვასავით ასეთი კითხვები. მაგრამ ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ცოტა რამ მაინც მაწყალობეს.

ლიაოიანიდან შორს სოფელში გაგვგზავნეს. კარვები გაშლილ მინდორში დავდგით, ჩინელთა ყანებში რა თქმა უნდა, ამ ყანებს ხეირი არ დაგვიყარეთ: მისვლისთანავე ისე მოვტკეპნეთ, რომ კაი კალო გეგონებოდათ. მალე გვესტუმრა თვალ-ცრემლიანი ჩინელი და დამტვრეულ რუსულით დაიწყო ჩივილი: რა მიყავით, რაზე წამიხდინეთ ყანა, მთელი ოჯახი მშიერი ამომიწყდებაო. მოვისმინეთ ჩვენი ზედამხედველი და ვთხოვეთ, ყანის წახდენისთვის ფული მიეცა. იმანაც არც ვაჭრობა დაიწყო, არც არაფერი, ადგა და ფული მისცა, მაგრამ შემდეგში ვაჭრობაც დაიწყეს... მერე ხმა გავარდა, რუ-

ვნის პატივსაცემად. კრებას გარეშე საზო- დოებასაც შეუძლიან დაესწროს. ამ ს[illegible] მოს 4 ექიმი წაიკითხავს წერილებს სამხ[illegible] თოფურიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

◆ კვირას, 7 ნოემბერს, დილის $10^1/_2$ საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების „შრომის“ წევრთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს: ა) საზოგადოების თავმჯდომარის არჩევა; ბ) განხილვა ნამდვილ წევრთა სიისა, რომელთაც შემოტანილი აქვთ საწევრო გადასახადი, და საპატიო წევრთა შემოწირულებისა; გ) განხილვა კრებამდის გასულ ხარჯებისა საზოგადოების საჭიროებისათვის და სკოლის დასაარსებლად; დ) განხილვა და დამტკიცება მდგომარე წლის სკოლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა.

◆ ოქტომბრის განმავლობაში ქალაქის სასანიტარო ზედამხედველობის მოღვაწეობა შემდეგია: გაუსინჯავთ 804 ეზო სადგომებით, 347 სავაჭრო, 6 ქარხანა, სანიტარულ ვალდებულებათა დარღვევისათვის უწყება ჩაუბარებიათ 150 კაცისთვის, ოქმი შეუდგენიათ 73-სთვის, გაუკეთებიათ 95 სანაგვე ყუთი, უვარგისად უცვნიათ და გადაუყრიათ 2 ფუთი ხილი, $2^1/_2$ ფუთი თევზი, 4 ფუთი საქონლის ხორცი და სხ. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში გაუსინჯავთ 12 კაცი.

◆ 10 ნოემბერს მოხდება ქალაქის გამგეობის ერთის წევრის არჩევა ნაცვლად გ. ი. გველესიანისა, რომელსაც სამსახური ვადა უთავდება.

◆ 9 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორების შემოსავლის იჯარით გასაცემად ორის წლის ვადით, 1905 წლის 1 იანვრიდან 1907 წლის 1 იანვრამდის. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს 100 მანეთი ნაღდი ფული, ან სარგებლიანი ქაღალდები. ეს ფული რჩება ქალაქის სასარგებლოდ, თუ მოვაჭრემ პირობის შეკვრაზედ უარი განაცხადა.

◆ მომავალ წლის 1 იანვრიდან ქალაქის სასაფლაო სადორიაში, რომელსაც ამდენხანს ქალაქი განაგებდა, გადავა სასულიერო უწყების ხელში. ქალაქის გამგეობამ უწმიდესის სინოდის წინაშე აღძრა შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ სასაფლაო ისევ ქალაქის გამგეობაში დარჩენილიყო, მაგრამ ჯერ იქიდან პასუხი არ მოსულა.

◆ კათოლიკებისა და გექილების ქუჩათა მცხოვრებლებს თხოვნით მიუმართავთ ქუთაისისი გუბერნატორისათვის. თხოვნაში აწერილია ის გაჭირვება, რომელსაც ამ ორი ქუჩის მცხოვრებნი ითმენენ იმის გამო, რომ ეს ორი ქუჩა ხეტის მოედნათაა გადაქცეული და ზედ არც ცხენით, არც ეტლით გავლა არ შეიძლება. გუბერნატორს ეს თხოვნა გადაუცია ქალაქის გამგეობისათვის საბჭოს მოსახსენებლად. გუბერნატორი თავის მხრივ სამართლიანად სცნობს მცხოვრებთა თხოვნას.

თეატრი

ქართული დრამა („ღალატი“, სუმბათაშვილისა, 3 ნოემბერი). ქართულ თეატრის მოყვარული, რომლისთვისაც ქართული სცენა უბრალო დროს გატარება არ არის, გულის ფანცქალით მოელოდა უკანასკნელ ოთხშაბათის წარმოდგენას. ჩხეიძის ქალს იგი იცნობს და მით უფრო მეტის შიშით მოელოდა „ზეინაბის“ როლში ამ მსახიობის გამოსვლას... და სასიხარულოდ, ახალგაზდა მსახიობმა სძლია დიდ სიძნელეს. ქ-ნმა ჩხეიძემ იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ თვით შეურიგებელი ურწმუნო ქართველიც-კი დაიყოლია და ათქმევინა—ქართულ წარმოდგენაზე ვიყავიო. ვერ ვიტყვით, რომ ქ-ნმა ჩხეი[illegible] დგინა [illegible] გვისუ- [illegible] ას დაგვა- ბ[illegible]

მესამე მოქმედება: ტანჯული და გვემული ზეინაბი, საწადელ მიზანს მოახლოებული, მხურვალედ მთელის თავის არსებით მოწადინებული, რომ ძველი ლომი ქართლისა, ეხლა სულეიმანის სათამაშო იარაღად გამხდარი ოთარი საქვეყნო საქმეს დაუბრუნოს. შეუდარებლის გრძნობითა და მჭევრმეტყველებით ვექილობდა ქ-ნი ჩხეიძე სამშობლოშვილთა საქმისათვის და როცა ხალხის შვილის, ანანიას ღვიძლ შვილის მსხვერპლად შეწირვაზე დაიწყო მოთხრობა, მთელი თეატრი ხელში ეჭირა მსახიობ ქალს. უკანასკნელი მოქმედებაც დიდის სინამდვილით და სიმძაფრით წარმოგვიდგინა: სულეიმანი მასთან მართლა კატას წარმოადგენდა, თუმცა ბ-ნი შალიკაშვილი მეტად მოწადინებული იყო, რომ ლომისა და ვეფხვის შთაბეჭდილება მოეხდინა. „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“-ო, უთქვამს ჩვენს მგოსანს; ეს, ალბად, შალიკაშვილმაც კარგად იცის, და თუ „გაცლა“ ვერ მოახერხა, იმისი ბრალი არ უნდა იყოს.

ლექავას ქალი შესაფერად უშვენებდა მხარს ზეინაბს. ვინც კი გვინახავს, ლექავას გაიანე ყველას სჯობდა, და ახალგაზდა მსახიობ ქალის ქართულ სცენაზე დაბრუნება ყველას სასიამოვნოდ უნდა დარჩეს.

დანარჩენ აღმასრულებელთ შორის აღსანიშნავია ვასო აბაშიძე—სამჯერ თუ ოთხჯერ გვინახავს ნიჭიერი მსახიობი ამ როლში და უკანასკნელად რომ ხელოვნებით შეასრულა, წინანდელი გულნაკლულობა თუ რამე გვქონდა, სულ დაგვავიწყა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის იშვიათი გარემოება, რომ იქ, სადაც საჭირო იყო, ბრბო, ხალხი სცენაზე თუ სცენის გარეთ შესაფერად იქცეოდა...

ი.

ქუთაისი. 31 ოქტომბერს ქუთათურმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა „როზა ბერნდ“, ხუთ-მოქმედებიანი დრამა ჰაუპტმანისა, თარგმანი ვ. ს. მესხიშვილისა. პიესის შინაარსი მოკლედ ასეთია. მოხუცი ბერნდის ქალი როზა დედის გარდაცვალების შემდეგ სცხოვრობს დისდორფის მამასახლისის კრისტოფ ფლამის ოჯახში. ფლამის ღვთისნიერი მეუღლე ეგ თავის შვილ კურტთან ერთად ზრდის როზას. კურტი მალე გარდაიცვლება. ფლამის მეუღლე დაიკუტება და სავარძლით დაჭკავთ. კრისტოფ ფლამს შეუყვარდება როზა და ერთხელ უმწეოდ დარჩენილ ქალს ნამუსს ახდის. ამას დაინახავს იმავე სოფლის ზნეობით გახრწნილი მემანქანე სტრეკმანი, სარგებლობს შემთხვევით და მუქარით უნდა ნებას დაიყოლიოს საბრალო ქალი; მაგრამ, მუქარით რომ ვერას გახდება, მხეცურ ძალას მიჰმართავს და აღწევს საწადელს. მოხუცმა ბერნდმა ამ ამბისა არაფერი იცის. ვერც კი წარმოუდგენია, თუ იმისი უმანკო ქალი ცუდს რასმე ჩაიდენს. ის უმზადებს თავის ქალს საქმროდ ერთს მეუდლეს ავგუსტ კეილს, რომელსაც თავის შრომით გაუკაფავს გზა, წერა-კითხვა უსწავლია, ცოტა მამულიც შეუძენია და თავის სოფელში ნასწავლ და შეძლებულ კაცად ითვლება. ავგუსტი სუსტი, ავადმყოფი კაცია, მაგრამ გულ-კეთილი და მუდამ ღვთის მლოცველ-მადიდებელი. სახარება და სხვა სადვთო წიგნები იმისი განუყრელი ამხანაგია. იმისათვისაც უყვარს ის მოხუცს ბერნდს, რომელიც ეკკლესიის კტიტორად ითვლება. როზა დაორსულდება. ეს გარემოება არ კმაყოფილებს ფლამის მეუღლეს, რომელსაც როზა კიდეც გამოუტყდება, მხოლოდ იმას-კი არ ეტყვის, ვინ შეაცდინა. ბოლოს როზას მდგომარეობა ყველასათვის გამოირკვევა; მას ეყოლება შვილი, რომელსაც, როგორც იმის სიტყვებიდან სჩანს, თავის ხელით დაახრჩობს ტირიფის ძირში. მიუხედავად ამისა, ავგუსტი უდგება თავის მდგო[illegible] და ყველაფერს აპატიებს როზას, მაგრამ ქალის ცხოვრება უკვე გატეხილია. ასეთია სულ მოკლედ პიესის შინაარსი თემა თუმც ახალი არაა, მაგრამ დაძველებითაც დიდ-ხანს არ დაძველდება და ჩვენს სცენაზე იმისი ხშირად წარმოდგენა ბევრს ნამდვილ სარგებლს გამოიღებს. რაც შეეხება თამაშს, სრულის ანსამბლით იყო შესრულებული, მაგრამ ყველაზედ მეტი ყურადღება მიიქცია ქ-ნმა დავითაშვილმა. ახალგაზდა მსახიობ ქალს მეტად ძნელი როლი—როზა ბერნდ—ჰქონდა ნაკისრი, რომელსაც გვეგონა, ვერ დასძლევდა, მაგრამ სძლია ამ სიძნელეს და ისე მშვენივრად ითამაშა, რომ ყველა გააოცა. ქ-ნი დავითაშვილი საზოგადოდ სხვა როლებსაც კარგად ასრულებს, მაგრამ ასე ჩინებულად მას, მგონია, არასოდეს არ უთამაშნია. უთუოდ ბევრი ჩაახედა თავის გულში მისმა სასოწარკვეთილებამ, იმისმა თავგანწირულმა სულის კვეთებამ; ბევრი ცრემლი დაადვრევინა საზოგადოებას იმისმა ბუნებრივმა თამაშმა. ამ დღეს ნათლად დაგვიმტკიცა თავისი სასცენო ნიჭი და დიდი იმედი გადაგვიშალა. საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვა ახალგაზდა მსახიობი ქალი. ბ-ნმა გამრეკელიძემ მშვენივრად შეასრულა მოხუც ბერნდის როლი. ბ-ნ მესხიშვილს როლის უცოდინარობა ემჩნეოდა, ნამეტურ მას შემდეგ, რაც ორიოდე წამით ელექტრონის სინათლე გაჰქრა; ეტყობოდა, ბ-ნს მესხიშვილს გული მოუვიდა, თუმცა თამაში კი არ შეუწყვეტია. გრძნობიერად თამაშობდა ბ-ნი გვარამაძე ავგუსტ კეილის როლს, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ იმის თამაშს ძლიერა ვნებს უადგილო-ადგილას ხმის ამაღლება, რაც ქართული ენის თვისების წინააღმდეგია. თამაშს კარგად უწყობდნენ ხელს ქ-ნნი ივანიძე—ფლამის მეუღლე, მდივანი—მარტელი, და გამრეკელიძისა—მოხუცი გოლდმისა.

წარმოდგენის გარეგანი მხარეც ჩინებული იყო: ეტყობოდა, ბ-ნი მესხიშვილი ხარჯს არ მოერიდება ახალ დეკორაციების შესაძენად. ამიტომაც იყო, რომ საზოგადოებით გაიჭედა თეატრი და ხარჯი ერთი სამად აუნაზღაურეს ბ-ნს მესხიშვილს. კარგი იქმნება, რომ ეს პიესა ხელმეორედ წარმოადგინონ.

დონ-ვალიანი

პრესსა

„რუსკ. ვედ.“-მ საყურადღებო წერილი უძღვნა რუსეთში არსებულ ადმინისტრატიულის წესით გადასახლებას და გადასახლებულთა მდგომარეობას. მოგვყავს ამ წერილიდან ზოგიერთი ადგილები.

> რუსეთის კანონებში აღნიშნულია, რომ მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება შეზღუდოს დამნაშავის უფლებანი და სასჯელი მიაყენოს. ამავე დროს, როგორც ყველამ უწყის, დღეს მრავალ ხალხს სჯიან რუსეთში ადმინისტრატიულის წესით, სასამართლოს განუხილველად. ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსეთის ძირითადი კანონები გაუქმებულია 1881 წელს შემოღებულ „დროებით წესების“ ძალით, რომელნიც უკვე 20 წელზე მეტია, რაც მოქმედებენ. ამ წესებმა მიანიჭეს უფლება პოლიციასა და ჟანდარმებს დაატუსაღონ ორი კვირის ვადით ყველა მათთვის საეჭვო კაცი. გუბერნატორს უფლება აქვს დაპატიმრების ვადა ერთ თვემდის განაგრძოს. ნება აქვთ, ყოველთვის, როცა მოისურვებენ, დღისით თუ ღამით, გაჩხრიკონ საეჭვო პირთა სახლები. ადმინისტრატიულად გადასახლება შემდეგის წესით სწარმოებს. ადგილობრივი ადმინისტრაცია აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს, ამა და ამ კაცის გადასახლება სასურველიო. ადმინისტრაციის მოხსენებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო განიხილავს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა დასწრებით. საბჭო გადასწყვეტს საქმეს გადასახლების შესახებ; ამ გადაწყვეტილებას შინაგან საქმეთა მინისტრი ამტკიცებს. მთელი ეს საქმე საიდუმლოდ სწარმოებს. „დამნაშავეს“ მხოლოდ მაშინ გამოუცხადებენ ყველაფერს, როცა სასჯელი უკვე გადაწყვეტილია. სანამ საქმე სწარმოებს, „დამნაშავე“ საპატიმროში იმყოფება, თავის დაცვის ნება არა აქვს. ადმინისტრატიულად გადასახლების ვადა 1—5 წლამდეა. გადასახლებულს უფლება არა აქვს, მთავრობის ნება-დაურთველად მისთვის საცხოვრებლად მიჩენილი ადგილი დროებითაც დასტოვოს; ყოველ მოწოდებისათანავე უნდა გამოცხადდეს პოლიციაში. პოლიციის მცირე მოხელეთაც კი ეძლევათ უფლება დღისითა და ღამითაც გაჩხრიკონ იმისი სახლი. გადასახლებულთ აკრძალული აქვთ საზოგადო მოღვაწეობა, სახელმწიფო და კერძო სამსახური. გასაგზავნად მომზადებულ მათ წერილებს პოლიციის მოხელეები კითხულობენ და თავის შეხედულებისა დაგვარად აჩერებენ. ამ წესების მცირე დარღვევისათვისაც ადმინისტრაციას უფლება აქვს დააპატიმროს დამნაშავე. ერთი სიტყვით, ადმინისტრატიულად გადასახლებული უფლება-ახდილი, ყოველ-მხრივ შევიწროვებულ ადამიანია. ამნაირად ასობით კი არა, ათასობით სჯიან ყოველ წელს რუსეთის მცხოვრებლებს. განათლებულს კაცს, სადმე ცხრა მთას იქით მიყრუებულ ადგალას გადაკარგულს, ყველა გზები აქვს მოჭრილი: უფლება არა აქვს რაიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი, თავის შრომით თავი ირჩინოს. იგი სრულებით უვიც და თავის—კერძო პოლიციელთა მსხვერპლად ჰხდება.

⁂

ყველა გაზეთებში იყო დაბეჭდილი ცნობები იმის შესახებ,—ამბობს გაზ. „რუს“-ი—რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა, სხვა-და-სხვა პირთა და საზოგადოებათა შუამდგომლობით, დააბრუნა პლევეს დროს ადმინისტრატიულად გადასახლებულნი, რომელთა გვარები ჩამოთვლილი იყო. მინისტრმა გამოუცხადა მთხოვნელებს, ვეცდები, ძლიერ შევამცირო უკვე გადასახლებულთა რიცხვიო.

მხოლოდ გაზეთებში ვერ ვპოულობთ ცნობებს იმის შესახებ, შუამდგომლობს ვინმე თუ არა, რათა დააბრუნონ უწესოების მოხდენისათვის გადასახლებული მოსწავლენი. ნუ თუ ის პირები, ის პროფესსორები, რომლებსაც ამ საქმეში თაოსნობა ეკუთვნით, როგორც ახალგაზრდობის აღმზრდელთ, სდუმენ, არაფერს შვრებიან დასჯილ მოწაფეთა დასაბრუნებლად. სამწუხაროა ეს დუმილი და ყველაზე მეტად სამწუხაროა ის გარემოება, რომ ზოგიერთ უმაღლესს სასწავლებელში, მაგალითად, პეტერბურგის საქალებო კურსებზე და სამთო ინსტიტუტში, თვით პროფესსორები წინააღმდეგნი არიან, რომ გამორიცხული და გაგზავნილი მოსწავლენი დაბრუნდნენ სწავლის განგრძობისათვის.

ეს პროფესსორები მტკიცე უფლების, მძლავრი გამგეობისა და დისციპლინის მომხრენი არიან, და სრულებით ავიწყდებათ, რომ ხალხის დასამშვიდებლად და არა გასამწვავებლად არიან მოწოდებულნი. მართალია, ყველა პროფესსორებს არ დავწამებთ ამ დანაშაულს, მათ შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც მძლავრი პროტესტი გამოუცხადეს ადმინისტრაციის თვითნებობას და სამსახურიდან გადადგნენ; მაგრამ ესენი უმცირეს ნაწილს შეადგენდნენ, რაიცა მეტად სამწუხარო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

არა ერთი წერილი მივიღეთ დასჯილ მოწავლეთა მშობლებისა და მეგობრებისაგან. ეს წერილები ცრემლით არიან მორწყულნი. ვინ იცის, რამდენი ცხრა მთას იქით გადაკარგული ახალგაზრდა კაცი და ქალი ითმენს შიმშილსა და სიცივეს, სნეულდება, უკვალოდ იღუპება...

ყველამ კარგად იცის, რომ, მაგალითად, პეტერბურგის უმაღლესს კურსებზე ბევრი მოსწავლე ქალი მხოლოდ იმიტომ დაისაჯა სასტიკად, რომ საერთო საქმეს არ უმტყუნეს, ამხანაგებს არ უღალატეს. სამთო ინსტიტუტის გამგე პროფესსორები, იმის მაგიერ, რომ დაემშვიდებინათ ხალხი, დახმარება გაეწიათ მოსწავლეთათვის, მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თვითონ გახდნენ სასჯელის მომხრენი. „წინა დროებში,—გვწერს ერთი პროფესსორთაგანი, უწესოებისათვის გამორიცხულთ ისევ ადვილად ღებულობდნენ სასწავლებელში. 1901 წელს თვითონ პროფესსორებმა აღძრეს შუამდგომლობა და დააბრუნებინეს სამთო ინსტიტუტის ყველა სტუდენტი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ დასჯილნი და გადასახლებულნი. ამ ჟამად კი სამთო ინსტიტუტის საბჭო უარზე დგას. არაფრის გულისათვის არ უნდა ისევ მიიღოს ამ სასწავლებელში ის სტუდენტები, რომელნიც გასულ გაზაფხულს გამორიცხულნი იყვნენ უწესოების დროს“.

სასამართლო

I

ხაზინის ფულის გაფლანგვა

გუშინ, 4 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის მალაქია ცხვედაძისა, რომელსაც სახელმწიფო ფულის გაფლანგვა და სიყალბე ჰბრალდებოდა. 1902 წელს, როგორც გამოძიებიდანა სჩანს, ცხვედაძემ სამსახურის დროს სხვა-და-სხვა პირთაგან იღებდა ფულს „პერევოდით“ გასაგზავნად და მერე თითონ ისაკუთრებდა. ამასთან დავთრებში ციფრებს ყალბად სწერდა. ამრიგად ცხვედაძეს 30 სიყალბე ჩაუდენია და მიუსაკუთრებია სულ 2,500 მან. ეს დანაშაულობა აღმოუჩენიათ ტფილისის საკონტროლო პალატაში, როცა წიგნები გაუჩხრეკიათ. პალატაში ბრალდებულმა თავისი თავი აღიარა დამნაშავედ. პალატამ ცხვედაძეს მანიფესტის ძალით ერთი მესამედით სასჯელი შეუმცირა და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ამას გარდა ცხვედაძეს უნდა გადახდეს 2,500 მან.

II

ეკკლესიის გატეხა

2 ნოემბერს პალატამ გაარჩია საქმე გორის მაზრის მცხოვრებთა მარდუა კრიხელისა და იოსებ მამისთვალისშვილისა, რომელთაც გორის მაზრაში ეკკლესიის გატეხა და ძვირფას ნივთების გატანა ბრალდებოდათ. ტფილისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ისინი და გადაუწყვეტნია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში 6 წლით გაგზავნა. ბრალდებულთ საქმე განასაჩივრეს. პალატამ უცვლელად დამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

რუსეთის ქრონიკა

◆ 29 ოქტომბერს დეპეშით აცნობეს კიევიდან გაზეთ „რუსკ. ვედომ.“-ს: „დღეს საერო განათლების მინისტრს ადგილობრივ უნივერსიტეტის პროფესორებმა თხოვნა გადასცეს კიევში უმაღლეს საქალებო კურსების გახსნის შესახებ. მინისტრმა გამოუცხადა მთხოვნელებს, თქვენ განზრახვას არ თანავუგრძნობ და ამ საქმის განხორციელება სასურველად არ მიაჩნიაო.“

◆ ქ. ვოლოგდიდან სწერენ „რუსკ. სლოვო“-ს, რომ საერთო ქესატობის გამო გაკოტრდა ადგილობრივი კომერციული ბანკი. მრავალი ღარიბი ხალხი, რომელთაც თავისი წვლილი ჰქონდათ შეტანილი ბანკში, ახლა იმის დაბურულ კარებთან იკრიბება და განუწყვეტელი ქვითინი ისმისო.

◆ ნაფიც მსაჯულებს გაუმართლებიათ ვოლოგდის სასამართლოში ვ. რომანოვი, რომელმაც გასულ წელს სასამართლოს დარბაზში, იმის საქმის განხილვის დროს, მოჰკლა თავისი საყვარელი, ლიუბიმოვის ქალი.

◆ ერთი გაზეთის კორესპონდენტს უნახავს სოფ. იასნაია პოლიანაში რუსეთის სახელ განთქმული მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი და საუბარი ჰქონია მასთან ამ ბოლო დროს გაზეთ „რუს“-ის თაოსნობით განზრახულ საერო განათლების თანხის შედგენის შესახებ. ტოლსტოის მეტად მოსწონებია ეს განზრახვა და სრული თანაგრძნობა გამოუცხადებია.

◆ გამოქვეყნებულ ცნობებით, მთელი რუსეთის გზებზე ამ ჟამად, ვაგონების უქონლობის გამო, იმდენი პური შეკრებილა, რომ იმის გატანას 98 ათასი ვაგონი დასჭირდება.

◆ სამარაში წიგნთ-საცავების გამმართველმა საზოგადოებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ნება მისცენ იქონიონ წიგნთ-საცავებში ცენზურისაგან ნება-დართული ყველა წიგნები.

◆ ი. ნ. ფედორჩენკომ თხოვნით მიმართა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ გამგეობას, ნება მისცეს გამოსცეს მალოროსიულ ენაზე სალიტერატურო ჟურნალი „ნედილია“.

სის მთავრობამ მანჯურიის დაოტაის ორი მილიონი მანეთი მისცა დაზარალებულ ჩინელთა დასაჯილდოვებლადაო, და უთუოდ ამ ხმის გამო ფულის ძლევაზე სრულიად ხელი აიღეს. ამასთან „მურალი ჩინელი სამჯერ მეტსა თხოულობს და ჯაშუშობს კიდეც; თვალით ნუ დამანახვებთო!“ იძახდნენ ბოლოს ისინი, ვისაც დაზარალებულთათვის ფული უნდა მიეცა.

ამის შემდეგ ხარბინში წავედი. 20 აგვისტოს ბრძანება მივიღე სასანიტარო მატარებლის ექიმად დანიშვნის შესახებ. 21 აგვისტოს ხარბინიდან გავედით. ამ დროს ნამესტნიკიც მიდიოდა. და ამის გამო გზაში ხარბინიდან ტელინამდე (400 ვერსია) ოთხი დღე-ღამე გაგვაჩერეს. სწორედ ამ დროს იაპონელებმა აიღეს ლიაოიანი და უკან მიდიოდნენ ობოზი და წითელი ჯვრის საავადმყოფოები. ამბობენ, ლიაოიანში ორი მილიონის სურსათი დაიღუპაო. განუწყვეტლივ მიდიოდნენ დაჭრილნი. მარტო ერთ დღეს ხუთი ათასი კაცამდე გაატარეს. 23 აგვისტოს კინაღამ ჩვენი მატარებელი დაიღუპა: ხუნხუზებს რელსზე ასაფეთქებელი ყუმბარა დაედოთ. საბედნიეროდ, დარაჯმა დროით შენიშნა და გადარჩით. სამაგიეროდ, დარაჯი იაპონელებმა ფეხში ტყვიით დააჯილდოვეს. 27 აგვისტოს მუკდენს მივედით. იქ ვნახე უკან დახეული ჩვენი ჯარი. სალდათები დაფლეთილ ტანისამოსში იყვნენ, უჭმელნი და უფეხსაცმელონი. მალე უკანვე დაბრუნდა ჩვენი სასანიტარო მატარებელი. ხუნხუზები კიდევ დაგვეცნენ. ასტეხეს ერთი სროლა, მაგრამ ზარალი ვერა მოგვაყენეს-რა. ჩვენი მგზავრობა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ხშირად მატარებელს მთელის დღეობით აჩერებდნენ გაშლილ მინდორში, სადაც არც წყალი მოიპოვებოდა, არც საჭმელ-სასმელი. საზოგადოდ, დაჭრილთა მატარებლებს არავითარ უპირატესობას არ აძლევენ: ხშირად ასეთ მატარებლებს აჩერებენ და წინ უშვებენ რელსებით ან დამტვრეულ ზარბაზნებით დატვირთულ მატარებლებს. დაჭრილნი და ავადმყოფნი ჩვენ თვალწინ იხოცებოდნენ, რადგან ამ უდაბნოებში ვერავითარი შემწეობა ვერ აღმოგვეჩინა და არც საოპერაციო ვაგონი მოგვეპოვებოდა. მეორეს დღეს ხარბინს მივედით. ადგილობრივი საავადმყოფოები ისე აღმოჩნდა გატენილი, რომ დაჭრილთა მატარებლები სადგურზე იდგნენ. ზოგი სამ-ოთხი დღე იდგა. ავადმყოფთა უმრავლესობა საქონლის ვაგონებში იყო, პირდაპირ ფიცრებზე. იქვე სჭამდნენ, სვამდნენ და იკმაყოფილებდნენ სხვა მოთხოვნილებებს. იქვე იხოცებოდნენ სხვების თვალწინ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ტიფითა და დიზენტერიით ავადმყოფნი. ესენი ყველანი საქონლის მოუწყობელ ვაგონებით მიჰყავთ ხოლმე. თვით ხარბინში ახლად მისული დაჭრილი რამდენსამე დღეს იცდის, ვიდრე ჭრილობას შეუხვევენ.

ლიაოიანის ბრძოლის დროს ერთ ხანად ბაინტუზასთან ვიდექით. ის იყო დავბინავდით, რომ კომენდანტი მოვარდა, არიქა იაპონელები მოდიან და აიბარგენითო. მართლაც, მალე ზარბაზნებისა და თოფების გრიალი მოისმა. თქვენის თვალით უნდა გენახათ რა მოხდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია, ისე რომ ძალიან პატრონს ვედარ იცნობდა. ზოგი აღმა გარბოდა, ზოგი დაღმა. ყველა კი იმასა სცდილობდა, თავისთვის ეშველა. დავყარეთ ჩვენც ყველაფერი ურმებზე, სამი დაჭრილიც ზევიდან შევასკუპეთ და გავუდექით გზას. გზაში არეულობა უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დესტნის პოლკის სამი სოტნა დაგვეწია. ეს სოტნები, ბრძოლის ველიდან გამოქცეულნი, არეულად მორბოდნენ, ერთი-ერთმანეთს უსწრობდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიარბევინებდნენ ცხენებს. გზა ისე შეიკრა, რომ იძულებულნი გავხდით იმ ურმიდან, რომელზედაც დაჭრილები იყვნენ, წამლებისა და შესახვევ ნივთების ყუთები გადაგვეყარა, გზისთვის აგვექცია და ისე წავსულიყავით. ფინდიაპუდან ღამის პირველ საათზე გავედით. სულ ამ დროს 60 დაჭრილი გვყავდა. ზოგნი ურმებზე დავსხით და ზოგნი ცხენებზე შესხდნენ. ეს ღამის გზა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო როგორც დაჭრილთათვის, ისე ჩვენთვის. ხშირად, როდესაც ურემი ტალახში ჩაეფლობოდა, მთელი ერთი საათი ვიდექით და ვუცდიდით იმის ამოღებას. 22 აგვისტოს, როგორც იქნა, ყველა ჩვენი დაჭრილი (გზაში მოკვდნენ) მუკდენს მივიყვანეთ ურმებით და საკაცეებით. როდესაც ტრანსპორტი მუკდენს მოვიდა, მთელი პლატფორმა სავსე იყო დაჭრილებით. დაჭრილები ათასობით მოდიოდნენ ლიაოიანიდან, რადგან მატარებელი მატარებელს მისდევდა. თითო საქონლის მატარებელში 800 დაჭრილი იყო. გზაში თითქმის არავითარი დახმარება და წამლობა ამ დაჭრილთათვის არ იყო. გაი-ვაკლახით და წვალებით ვიშოვნეთ ოთხი საქონლის ვაგონი, დავაწვინეთ იქ ჩვენი 105 დაჭრილი, მიუბით ერთ რომელიღაც მატარებელს და ხარბინს გავისტუმრეთ. ვაგონებში ჩვენი დაჭრილებიდან 33 კაცი მოკვდა.

ერთხელ დაჭრილებთან ერთად მატარებლით მივდიოდი. როდესაც ჭერ შეხუთულ ვაგონში მომწყინდა, გარედ გავედ. ვაგონის საფეხურებზე მსუბუქად დაჭრილნი დავინახე. ლაპარაკობდნენ. „ომში ფეხი დავკარგე,—ამბობდა ერთი,—მერე რაღა? რა ეშმაკად მინდა პორტ-არტური! მანჯურია? ჩინელი არ მინახავს თუ? ტყე-კი არსად არის აქ. თევზიც არ მოიპოვება. ჩვენზე უკეთ არც ესენი ცხოვრობენ. ღარიბ-ღატაკნი არიან, სჭამენ ყველა სისაძაგლეს.“ ამ დროს მოვიდა სტუდენტი-ექიმი და სულ სხვა კილოზე დაიწყო ლაპარაკი· იმის აზრით, იაპონელებმა ძალიან წაიგდეს კისერი. ჭკუა უნდა ვასწავლოთო, დაათავა ამაყად ახალგაზრდამ. იანტაის სადგურზე გავჩერდით. გვხვეწეთ საავადმყოფოებს, ჩვენი დაჭრილებიც მიეღოთ, მაგრამ ადგილი არსად აღმოჩნდა; ყველგან მოჭარბებული ხალხი იწვა. უბედურება ის იყო, რომ ყველასი მთელი დღე მშიერნი ვიყავით. დაჭრილებმა მოთხოვეს საჭმელი, მაგრამ მე არა გამაჩნდა-რა. კომენდანტმა მარჩია, მუკდენს წაიყვანეთო. ამასთან მითხრა, წინ-და-წინვე დეპეშა გაგზავნეთ, რომ დაჭრილებისათვის სადილი მოამზადონო. მეც ასე მოვიქეცი. ტელეგრაფზე მივედი, მაგრამ ფული მომთხოვეს. ჩემი ფული არა მქონდა და ხაზინისა კიდევ დაავიწყდათ მოცემა. ამ რიგად აქაც პირ-ჩალა გამოვლებული დავრჩი. რას ვიზამდი! მივმართე ერთების სასანიტარო რაზმებს, იმათ მომცეს ცოტაოდენი სუხარი და სხვა საჭმელი.

მუკდენში ძველი ისტორია გამეორდა: ჩემ დაჭრილებს არსად არ იღებდნენ. ყველა საავადმყოფო სავსე აღმოჩნდა. „წაიყვანეთ ხარბინშიო“, გამომიცხადეს გადაჭრით. მაგრამ ხარბინში წასვლა არ შემეძლო, რადგან უკანვე უნდა დავბრუნებულიყავი. მალე გამოვიჭიმე გენერლის წინ. მოწიწებით მოვახსენე ყველაფერი და შევეხვეწე ეშველა რამე. „მიჰმართეთ კომენდანტს, იმის თანაშემწეს, სასანიტარო მატარებლების გამგეს“... ასეთი პასუხი მივიღე. როდესაც ამათ მივმართე, მითხრეს: „სთხოვეთ გენერალ ტრეპოვს, განოვსკის“ და სხვას. მთელი ორი საათი ვიხეტიალე აქეთ-იქით, მაგრამ ვერა გავაწყვე-რა. ამ დროს მოვიდა კუროპატკინის მატარებელი (თითონ კუროპატკინი ლიაოიანში დარჩა) და აგენტმა, რომელიც მატარებელს ახლდა, დიდი საყვედური გამომიცხადა. თურმე კუროპატკინის მატარებლის ორი ვაგონი დამეჭირა და მიგ დაჭრილნი დამეწვინა: აბა მე რა ვიცოდი, ვაგონები ვისი იყო: ერთი ვაი-უშველებელი ასტეხა ამ აგენტმა: „ვაგონები გაგიჭუჭყიანებიათ და გაგითხრებიათ“, ამაზე მე მომხვდებათ და სხვა. გამოვუცხადე, პასუხის მგებლობას მე ვკისრულობ-მეთქი, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა. იქვე იყო ერთი როტის უფროსი. ამან წინადადება მისცა აგენტს, ჩემ როტას გავგზავნი და ვაგონებს დავაწმენდინებთ. ბოლოს, როგორც იყო, საქმე მოეწყო და ჩემი დაჭრილები ერთ საავადმყოფოში მიიღეს.

გამოცემა 1905 წ. 1 იანვრიდან უნდა დაიწყოს და თანამშრომლებად ცნობილი მწერლები ეყოლება.

წერილები

თელავი. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც თელავის საკვირაო სკოლა დაარსდა. საქმის დაწყება და ნებართვის გამოთხოვა იკისრა დეკანოზმა ხელაშვილმა. ნებართვის მიღებას სიხარულით მიეგება თელავის საზოგადოება და დიდის ამბით, მრავალის ხალხის თანდასწრებით აკურთხეს და გახსნეს სკოლა 5 დეკემბერს 1899 წელს. პირველად საქმე კარგად მიდიოდა, სწავლის მსურველი ბევრი იყო, არა თუ პატარანი, დიდი ხელოსანნიც აღმოჩნდნენ. სასულიერო სასწავლებლის კლასები სავსე იყო მოსწავლეებით. პირველად მასწავლებელნიც და არა პედაგოგნიც მუყაითად მოეკიდნენ. ყველას უნდოდა მონაწილეობა მიეღო ამ სიმპატიურ საქმეში, ერთ თანამდებობაზე ერთის მაგიერ ორიც-კი იყო. სწავლის გარდა კითხვებიც დაიწყეს ბუნდოვან ფარნით სურათების ჩვენებით და სხვა. მაგრამ ამ ბოლო წლებში საქმე სხვა ნაირად დატრიალდა და სკოლას ნელ-ნელა ჩამოსცილდნენ, სკოლის გამგენიც გამოიცვალნენ და შარშან მხოლოდ 16 მეცადინეობდა. ვისაც ეკისრა მეცადინეობა, ისინიც ხან მიდიოდნენ, ხან არა. ბევრჯელ სკოლის გამგეს თვით უხდებოდა სიარული და მუდარება, მობრძანდით, გაკვეთილებს ნუ მოსცდებითო, და ხან თვითონაც უხდებოდა მეცადინეობა. მოსწავლენი-კი საკმაოთ ბევრნი არიან და სწავლის წყურვილიც აქვთ. შარშან 100-მდე შეგირდი დაიარებოდა, უმრავლესობა ბაზრიდან. სწავლის გარდა სხვა წასახალისებელი, მაგ., კითხვები, სურათები და სხვა რომ იმართებოდეს, მათი რიცხვი ერთი ორად მეტი იქნებოდა. მოსწავლეთ სკოლისავე პაწია ბიბლიოთეკიდან ხალისით მიჰქონდათ პატარა წიგნაკები წასაკითხად. თუმცა შიგ არაფერს ჰპოულობდნენ, რადგან უფრო წმინდათა აღწერებია. კითხვები რომ მოაწყონ, მოსწავლენი წახალისდებიან და მეტ ცოდნასაც შეიძენენ, მაგრამ გულ-შემტკივარი არავინ არის. ჯერ შარშან ორი თვე სწავლა შეჩერებული იყო, რადგან გამგე არა ჰყავდათ და არც არავინ კისრულობდა, მერე როგორც იყო ამოირჩიეს და სწავლაც დაიწყო. წელსაც იგივე განმეორდა, სკოლის გამგე სხვაგან გადაიყვანეს. მთელი თვენახევარი მეცადინეობა არ დაწყებულა. კვირაობით-კი მაინც მიდიოდნენ პატარა მოსწავლენი იმ იმედით, რომ ან ახლა დაიწყება სწავლა, ან ახლა ერთხელ სკოლის მოსამსახურეს გამოერეკა კიდეც და ახლა ყოფილ გამგის სახლში მივიდნენ. გამგის ასარჩევად წარსულ თვეში კრება მოახდინეს და აირჩიეს ბ-ნი ი. ზარაფიშვილი, ხოლო იმის თანაშემწედ—ქ-ნი ლ. ნანუკოვისა. სწავლაც 15-დან დაიწყო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამგეებს სხვებიც დაეხმარებიან.

ნოემბერი თოვლით დაგვიდგა. წინა დღითვე დაიწყო თოვა, მალე ფეხი მოიკიდა და თეთრი ზეწარი გადაეფარა არე-მარეს. მაინც ეს შემოდგომა უფრო სუსხიან გაზაფხულის დასაწყისს მოაგონებდა კაცს. მყუდრო დღეების მაგიერ, როგორიც შემოდგომობით იცის ხოლმე, სულ ავდარია, რის გამოც ზამთარმა ადრე დაგვიკაკუნა კარები.

დიმიტრაშვილი

დაბა სურამი. დაგვიდგა შემოდგომა და ჩვეულებრივ დაიწყო წვიმები და აგვიტალახდა ქუჩები. წაუვიდა სურამს მოაგარაკენი, მუსიკა, ცირკი და მასთან ფალავანი „რობინე", რომლის ფალავნობამ ჩვენი ახალგაზდობა გაიტაცა. სადაც-კი ნახავდით, „რობინეზე" ჰქონდათ ბაასი. დაყრუვდა სურამის ქუჩები ეხლა. აღარც მუსიკა, აღარც ცირკი და აღარც „რობინე". ერთ კაცს ველარ დაინახავთ გარეთ, აქამდის კი მთელ დროს სადგურზე ალაგებდნენ და ღამე ცირკში ათენებდნენ. მთელ სადგურზე მხოლოდ ერთი ფანარი ანთია და სიბნელეა გამეფებული ირგვლივ. მოუთმენლად მოველოდით ამ შემოდგომას იმ იმედით, რომ აქაურები ეხლა მაინც მიჰყოფდნენ საქმეს ხელს, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, ჩვენმა ყმაწვილებმა ამით უფრო ისარგებლეს: თუ აქამდის სადგურზე და ცირკში ალაგებდნენ, ეხლა ლატარიებში, „ვენერებში" და ფანტისა და ლოტოს თამაშობაში ალაგებენ. საკვირველია, ამ ხალხს რომ ლოტოსა და ფანტის მეტი არა აინტერესებს რა. მთელი თვე გავა სამკითხველოში ფეხს არ შემოსდგამენ და თუ შემოვლენ, ისიც ვისმეს სანახავად. „თავად არ იყო მძარიო, შიგ გაურიეს წყალიო". თავად სულ კანტი-კუნტით დადიოდნენ სამკითხველოში და ახლა ამ სიცივემ სულ ჩამოაშორა ხალხი სამკითხველოს. ეხლა კაი მიზეზი აქვთ: „ცივაო". ეგეც მართალია. თითქო რაც დაარსებულა სამკითხველო, ცეცხლი არ დაუნთიათ. ნახევარ საათი რომ დაჰყოთ, სულ კბილები ძაგძუგს დაგიწყებთ, ის დრო სჯობდა, როცა სამკითხველოში თბილოდა და ჩვენი სადგურიც განათებული იყო. ისევ მოველით ზაფხულს.

ძ. დაგვიანებული

დღის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

4 ნოემბერი.

ჩიფუ. 3 ნოემბერი („რეიტერი"). ნასადილევს რუსები წავიდნენ „რასტოროპნი"-დან და გემზე მხოლოდ ერთი კაცი დასტოვეს, რომელმაც პატრუქს ცეცხლი წაუკიდა და ააფეთქა გემი. აფეთქების ხმა სამჯერ გაისმა ისე ყრუდ, რომ ასი მეტრის მანძილზე ძლივს ისმოდა. გემი ჩაიძირა და წყალს ზევით მხოლოდ ანძა დარჩა. გაუგებარია რუსების ეს საქციელი, ფიქრობენ-კი, იმიტომ ააფეთქეს გემი, რომ „რეშიტელნის" ბედი არ შემთხვეოდათ. დღეს საღამოს ნავთსადგურის წინ გამოჩნდა იაპონელთა ორი კონტრ-ნაღმიანი გემი, რამაც უფრო დააჩქარა „რასტოროპნი"-ს დალუპვა. იაპონიის კონსულის სიტყვით, რუსის ცხრა მატროსი გადავიდა ნაპირზე და თან თოფები ჰქონდათ. იაპონიის კონსულმა ამის შესახებ პროტესტი გამოუცხადა რუსეთის კონსულს. იაპონელი კონსული ამბობს, რუსებმა ტყუილად დალუპეს „რასტოროპნი", რადგან რაც „რეშიტელნი"-ს დაემართა, აღარ განმეორდებოდაო. რუსეთის კონსულმა ოფიციალურად აცნობა დაოტაის, „რასტოროპნი"-მ ქარიშხლის გამო შეაფარა თავი ამ ნავთ-სადგურსაო. კონსულმა დაუმატა, გემის მანქანები იმდენადაა დაზიანებული, რომ გადავსწყვიტეთ გემიდან იარაღი გავიტანოთო. დაოტაიმ ოფიციალურად აცნობა იაპონიის კონსულს, გემიდან იარაღი გატანილია: ზარბაზნებს კლიტეები მოსჭრეს და მანქანები გააფუჭესო.—„რეიტერი"-ს კორესპონდენტმა ნამდვილად გაიგო, რომ „რასტოროპნი"-ს ბრძანება მოუვიდა: მტერს თუ თავს ვერ დააღწევთ, გემი უნდა ააფეთქოთო. ამიტომ გემზე თოფის წამალი მიიტანეს და იმის საშუალებით ააფეთქეს.—„ნოვი კრაი" იუწყება დაწვრილებით ამბებს მიჩმანის დიმიტრიევის მიერ იაპონელთა ოთხ-საკვამლიან კონტრ-ნაღმიან გემის დაღუპვის შესახებ. იაპონიის ნაღმიანი და ერთი კონტრ-ნაღმიანი გემები 21 ოქტომბერს ბუხტიდან თავის ნაღმებს ილებდნენ. დიმიტრიევმა განიზრახა იაპონელთა ერთ-ერთ გემის დაღუპვა: საღამოზე გაიყვანა „რეტვიზან"-ის ორთქლმავალი ნავი ნაღმის მსროლელ მანქანებით და 12 მეზღვაურით, იაპონელთა პროჟექტორებს მარჯვედ მიეფარა და გავიდა ნავთ-სადგურიდან. დიმიტრიევმა სისწრაფით წაიყვანა თავისი გემი, მიუახლოვდა იაპონელთა კონტრ-ნაღმიან გემს და ნაღმი ესროლა, რომელმაც მიზანს მიაღწია. ნაღმი აფეთქდა და იაპონელთა გემი ჩაიძირა. რუსის გემი, იაპონელთაგან დაუზიანებელი, დაუყოვნებლივ დაბრუნდა ნავთ-სადგურში. იაპონელებმა ვერ დაინახეს იგი და ჰფიქრობდნენ, რომ მათი კონტრ-ნაღმიანი გემი ნაღმს წააწყდა. დიმიტრიევმა გმირის სახელი მოიხვეჭა.

ლიბავა, 4 ოქტომბერი. გავიდა ზღვაში ბალტიის ესკადრის დამატებითი რაზმი,—სულ 13 გემი: 5 კრეისერი—„ოლეგ"-ი, „იზუმრუდ"-ი, „რიონ"-ი, „დნეპრ"-ი და „ტერეკ"-ი და რვა ნაღმიანი გემი.

დაკარი, 3 ნოემბერი. რუსეთის ესკადრა საღამოს ექვს საათზე წავიდა.

ჩიფუ, („რეიტერი"). „რასტოროპნი"-ს დეპეშები არ მოუტანია. კაპიტანმა კი დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს, რომ იერიშით მისული იაპონელები ყველგან უკუაქციეს და იაპონელებს არც ერთი უმთავრესი სიმაგრე არ აუღიათო.

ჩიფუ („რეიტერი"). იაპონელთა სამი ნაღმიანი გემი რეიდზე გავიდა. იაპონელები დარწმუნდნენ, რომ „რასტოროპნი" დაღუპულია და წავიდნენ.

ჩიფუ („რეიტერი"). „რასტოროპნი"-ს ინჟინერმა ლეიტენანტმა ბერგმა სთქვა, იაპონელები თავის დღეში ვერ მოახერხებენ პორტ-არტურის აღებას, რომელსაც ერთი წლის სამყოფი სურსათი აქვსო.

შანხაი, („რეიტერი"). რუსის მოხელეები აცხადებენ, ნამდვილი ცნობები მოგვივიდა იმის შესახებ, რომ შეთქმულებაა გენერალ სტესელის მოსაკლავადაო. 8 თავგანწირული იაპონელი წავიდა ნავით პორტ-არტურს, მაგრამ სტესელს წინ-და-წინვე აცნობეს ეს ამბავი და იმან ზომები მიიღო ამ სტუმრების ჯეროვან მისაღებად.

შანხაი, („რეიტერი"). ვლადივოსტოკიდან დაბრუნებული ორთქლმავალი გემი ამართლებს იმ ამბავს, რომ „რომბოი" ნავთსადგურიდან უკანასკნელად გასვლის დროს დაზიანდაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

4 ნოემბერი

ჩიანსიამუტუნი, 3 ნოემბერი. მოწინავე პოზიცია პოდპოლკოვნიკის ტიხომიროვისა. იაპონელთა სიმაგრეები მდებარეობენ ჩვენის ჯარიდან 2$\frac{1}{4}$ ვერსის მანძილზე. იაპონელების თხრილები მაღალ ქედებზე—ძალიან კარგად სჩანან, დურბინდით იხედება, როგორ მოძრაობს ხალხი სანგრებში და მუშაობს. უფრო ახლოს, ორი ვერსის მანძილზე, პატარა ქედს ამოფარებია ჩასაფრებული რაზმი. ჩვენი ჩასაფრებული რაზმები არ სჩანან. ჩვენებმა წაიწიეს წინ მტრის ტერიტორიისაკენ. განსაკუთრებით თავს იჩენს პოდპორუჩიკი კაზაკი და სალდათი აკიმოვი, რომელიც გუშინ დასჭრეს, პოდპოლკოვნიკის გაბედული ვესტავოი კავდი, რომელიც ღამე გასცილდა ჩვენ ჩასაფრებულ რაზმებს, რომ საკვები მოეტანა ჩვენი ცხენებისათვის იაპონელთაგან დაჭერილ მინდვრიდან. განუწყვეტელი ზარბაზნების სროლაა ახლო-მახლო ბატარეებიდან; ხშირად ცვივიან ტყვიები. მოხალისეთა რაზმების სროლას ზარალი არ მოაქვს.

ჩიფუ, 3 ნოემბერი. ქარბუქის გამო ნაღმიანმა გემმა „რასტოროპნი"-მ იარაღის აყრა ვერ მოასწრო და აფეთქებულ იქმნა.

ტოკიო, 3 ნოემბერი. „ცენტრალ ნიუს"-ი იტყობინება, რომ რუსის რაზმმა, რომელიც შესდგებოდა ქვეითა ჯარისა და კავალერიისაგან, სამშაბათს შუაღამისას გაბედული იერიში მიიტანა პინლუნტუნზე. მაგრამ უკუქცეულ იქმნა. მეორე იე-ტაიც[illegible] და კავალერიის ჯარის დიდმა რაზმია, რვა ზარბაზნით. იაპონელთა პოზიციებს ყუმბარებს უშენდნენ, მაგრამ რუსებს უკან დაახევინეს; იაპონელებს ზარალი არ მოსვლიათ. საზოგადოდ მდგომარეობა მანჯურიაში არ შეცვლილა. განთავისუფლებული ბრიტანიის გემი „ალანტონ"-ი მურანში მოვიდა, კუნძულ იეზოზე.—გაზეთი „კოკუმინ"-ი სწერს, რომ ორი ფაქტის შეთანხმება—ხანგრძლივი ალყა პორტ-არტურისა და ბალტიის ესკადრის წასვლა იაპონიის არა ოფიციალურ წრეებში ამაშფოთებელ გრძნობებს იწვევს, რასაც სრულიადაც არ ამართლებს საქმის მდგომარეობა. „კოკუმინ"-ს იმედი აქვს, რომ საბოლოო შტურმი პორტ-არტურისა ჩქარა მოხდება.

ჩიფუ, 4 ნოემბერი. დღეს დილის შვიდ საათზე იაპონიის სამმა ნაღმიანმა გემმა შემოუარეს აქაურ ნავთსადგურს და შემდეგ გავიდნენ ზღვაში.

ხარბინი, 4 ნოემბერი. ტოკიოელი გაზეთი „ნიჩი-ნიჩი" იუწყება, რომ ტოკიოში 25 სექტემბერს მოხდა რუსების საწინააღმდეგო ლიგის „ტაიროდოენკაი"-ს კრება. კრება უსაყვედურებს სახელმწიფო მოღვაწეთ შეცდომისათვის, რომ იაპონია ომში ჩაითრიეს; ომი იაპონიის ხალხს არ სურდაო. უსაყვედურებენ აგრეთვე იაპონიის მთავრობას კორეაში რეფორმების შემოღების აჩქარებისათვის, როდესაც კორეელთა ხალხის პოლიტიკურ მოღვაწეთა თანაგრძნობა და ნდობა არ ყოფილა მოპოებული. კორეაში საქმეების დახლართული მდგომარეობა, კრების აზრით, მესამეთ აღებინებს იაპონიას იარაღს.

შანხაი, 3 ნოემბერი. „მორნინგ პოსტ"-ი იუწყება, რომ შახე გაიყინა; იაპონელებმა გადაიარეს მდინარე; ამიტომ ჩქარა სერიოზული შეტაკებებია მოსალოდნელი.

პორტ-საიდი, 3 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება, რომ ბალტიის ესკადრა ეხლა სუდსკის ბუხტაში იმყოფება. აქ კვირას უნდა მოვიდეს. ფიქრობენ, რომ ესკადრას გასაჭირი შეხვდება ნახშირის დატვირთვის დროს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. ნევაზე ნავოსნობა შესწყდა.

ხარკოვი, 2 ნოემბერი. საღამოთი ქალაქის ქუჩებზე რამდენიმე ასმა კაცმა გაიარა ერთად, ხელმწიფე იმპერატორის სურათი მიჰქონდათ, „ღმერთო ფარვიდე ერსა შენსა" და ეროვნულ ჰიმნსა გალობდნენ. ეს პატრიოტული მანიფესტაცია წინა დღით მომხდარმა უწესოებამ გამოიწვია. წინა დღეს საღამოთი ხალხი ქალაქის ზოგიერთ ადგილას წესიერების და სიწყნარის დარღვევას შეეცადა, მაგრამ ცხენოსანმა და ქვეითთა პოლიციამ ბეჯითი ღონისძიება მიიღო და ხელად აღადგინა წესიერება.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 3 ნოემბერს დაიწვა სობხინაში საზამთროდ დაყენებული ორი სამგზავრო გემი: „ნიკოლაი" და „ვოსტოკ". გემები დაზღვეულია.

გოგოპოლი. ქურდებმა მოიპარეს საზოგადოების „ნადეჟდა"-ს საწყობიდან ბევრი საქონელი. დარაჯი მოკლულია.

4 ნოემბერი

პეტერბურგი. დაინიშნენ: ბესარაბიის გუბერნატორი თავ. ურუსოვი—ტვერის გუბერნატორად, ვილნის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის გამგე კოლეჟსკი სოვეტნიკი ხარუზინი—ბესარაბიის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად. გადაიყვანეს: ხერსონის ვიცე-გუბერნატორი ბეზობრაზოვი და ოლონეცის თავ. გორჩაკოვი, პირველი—ვილნისა და მეორე—ხერსონის ვიცე-გუბერნატორებად.—ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება მიენიჭოს გენერალ-ადიუტ. კუროპატკინს სემირეჩენსკის ყაზახთა ჯარის საპატიო მოხუცის ხარისხი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 2 ნოემბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,82$\frac{1}{2}$
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,80
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე	46,30
პარიზისაზე „	37,52$\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	6-7$\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	91$\frac{7}{8}$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	90
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	417
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	319
5% გირ. მოგზ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	270$\frac{1}{4}$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4$\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	252 „

ა) [illegible] მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიმიროვის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1[illegible]
ღია არის დილით 1 —2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ხა[illegible] ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, [illegible]ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტე[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელი[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ., სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადება

გამოვიდა და იყიდება
ეგნატე ნინოშვილის
(ინგოროყვა) სრული თხზულება.

წიგნში მოთავსებულია ჯერ არსად დაბეჭდილი ისტორიული რომანი „სამწუხარო შვილი", 10 სხვა-და-სხვა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, ვრცელი კრიტიკული განხილვა ივანე გომართელისა, მოკლე ბიოგრაფია, დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები და სხვა-და-სხვა წერილები ეგ. ნინოშვილის შესახებ და ავტორის სურათით.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში. (10—5.—10)



СѢДЕЛЬН,
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, ხაზინეულის სამრანის ახლოს. (წ.—176—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

„წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის"
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—მოუშე ბაზანსი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მედანისა	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
იოთამის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პროტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცოცხლითა და მკვდართა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხენთი რავთვისა, თარგ. სომხურიდან ბ. ყვანგულოვისა	1	.

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა
და მეცნიერება
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—5.—9)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
გამოცემა ს. ფირცხალავასი
ტ. 1. ფასი 1 მან.
საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მაღაზიაში.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი ითვლება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(9—8.19) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".

ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების
„შრომ"-ის

საბჭოს პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ და აგრეთვე ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად და ან აინტერესებს ამ საზოგადოების გარემოების შეტყობა, რომ კვირას, 7 ნოემბერს ამა წელს დილის 10$\frac{1}{2}$ საათზედ დანიშნულია საზოგადოების კრება ქუთაისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (6.—9)

Дозволено цензурою, 4 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა".

Электроп. „Груз. Изд.—Тва".